ჩემი ჰობი
პოეზიაა
დედოფლისწყარო

ჩემი ენა

პოეზიაა

ლიტერატურული
ალმანახი № 11

დედოფლისწყარო 2016

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ჩ-433

პერიოდული გამოცემა
გამომცემელი: ლერი ნოზაძე
ISSN 1987-9261

უსაზღვრო გულწრფელი მადლობა
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
ლიტერატურული ალმანახის რედაქტორ-
გამომცემელს **გიორგი ნატროშვილს**
წიგნზე მუშაობისას უდიდესი დახმარებისთვის.

ლევან ალავერდაშვილი

დაიბადა 1971 წლის 2 ივლისს წითელწყაროს (დღევანდელი დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ ჯაფარიძეში(დღევანდელი სამრეკლო).

1988 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მისი ლექსები იბეჭდება საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ალმანახებში; არის ერთი პოეტური კრებულის – „ნუ დამაჯერებ“- ავტორი. არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანების და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

შენა და ღამე ბეთანიისა

გეტყვი მშვიდობით, მერე დაგტოვებ,
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ავსებდეთ ჩემს სიმარტოვეს
შენა და ღამე ბეთანიისა.
გეტყვი, წუთები შენით ნაფერნი
როცა აშვებულ რაშებად ჰქრიან,
რა გვიანაა სულყველაფერი
და არაფერი არაა გვიან.
გეტყვი, საუფლოს ღრმა დარბაზებში
ხატად მოვძებნი შენს ძვირფას სახეს.
სისხლისფერ ვარდებს დავყრი ბაღებში
და თითებს შენი თითებით ნახებს.
გეტყვი, ნუ მოხვალ, მაგრამ რისათვის!?
უკვდავ მოლოდინს მაინც გპირდები
და იმ ლამაზი წყენებისათვის

ხელში ბალღივით აგიტირდები.
გეტყვი, დემონურ წარსულს მათოვებს
ნამი უშენოდ, მორცხვი იისა...
ნუ მიმატოვებთ! ნუ მიმატოვებთ!
შენა და მწუხრი ბეთანიისა.
გეტყვი, შვებაა შენს ხელში კვდომა,
გეტყვი, შენს შხამსაც აქვს ტკბილი გემო .
ღმერთმა შეგინდოს ცოდვა, შეცდომა
მოურჩენელო ტკივილო ჩემო.
გეტყვი, დამთავრდა! ეხლა მშვოდობით!
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ნუ მომკლავთ უამინდობით
შენა და ღამე ბეთანიისა.

ყვავილების ერთავ

ჩემს ქალიშვილს, იათამზე ალავერდაშვილს

დაიძინე, ახლოს მიდი ღმერთთან
დაიძინე, გაცდენს უკვე თვალი,
დაიძინე, ყვავილების ერთავ,
დაიძინე, მამა უკეთ არი.
დაიძინე, ცა მოგაბნევს ალმასს,
დაიძინე, შვება იგრძენ ღამის,
სიზმარებში ჩაეხუტე მამას,
დაიძინე, მზეთაიავ მამის,
დაიძინე, გამეზარდე შენ და
დაიძინე, გაცდენს უკვე თვალი,
ჯვარს დაგსახავს ნაზარევლის დედა,
დაიძინე, მამა უკეთ არი.

დასაფიცარო

ნატოს

მე უშენობით სიცივისგან დავსამარდები,
სითბოს მათხოვრად გარეული უთვალავ წყვილში,
შენ არ გიკრეფდე, რაღად მინდა ეულს ვარდები
ნაძვების ჩრდილში დამასვენე, ნაძვების ჩრდილში,
არ იყო ჩემი, ნურვინ მითხრას, რამე ვიწამო.
სხვისას გხედავდე, ნამთვრალევად შფოთიან ძილში,
ნუ გამიმეტებ, სამარისთვის დასაფიცარო,
ნაძვების ჩრდილში დამასვენე, ნაძვების ჩრდილში,
მერე კი როვა მოედებათ ალები შვინდებს
და გაზაფხული მზეს შეაბამს ცისფერ მარხილში,
ეგ უსასრულო სიმარტოვე თუ შეგაშინებს,
ნაძვების ჩრდილში დამასვენე, ნაძვების ჩრდილში.

პირამიდა

ის შენში შობილა და ცამდის ასულა,
სიმტკიცე ხეოფსის უკვდავ პირამიდის,
ათასის ოცნება წარსულად წასულა,
შენზე კი არ მტოვებს, არ მიდის, არ მიდის.
ხმაში ჩაგწურვია, - ოდითგან მიყვარდა -
მძაფრი სიტკბოება მწიფარი ვენახის,
ათასის ძახილი სამარეთ მიბარდა,
შენი კი დუმილიც მეძახის, მეძახის.
შენთან განშორებას იმედთა იმედო,
წინათ ვიჯერებდი, ჰო, მაგრამ ამჯერად
მთლად რომ მიმატოვო, მთლად რომ გამიმეტო
არა, საფიცარო, არ მჯერა, არ მჯერა.
მე გადასარჩენად უფსკრულთან დაგიხვდი,
რათა გიხაროდენ, უცრემლოდ მღეროდე,
იწამე, თალხისფერ სამოსელს გავიხდი,
ოღონდაც მარადის მელოდეს, მელოდეს -

რაც შენში შობილა და ზეცად ასულა,
სიმტკიცე ხეოფსის დიდი პირამიდის,
ათასზე ოცნება წარსულად წასულა,
შენზე კი არ მტოვებს, არ მიდის, არ მიდის.

სიკვდილისპირული

შესრუტავ ცივ ჰაერს წყვდიადში არეულს,
ვარდიდან ჩამოვწყვეტ საყურეს ნამისას,
ლანდებიც მიფრთხიან ნამთვრალევ მთვარეულს,
შენს მეტმა ვინ მომკლას ამ შუაღამისას.
შენს მეტმა ვინ მითხრას - არ გელის სიბერე -
და ვაი, რითმებიც მაგასა ყვირიან,
თუ მოსვლით სიკვდილისპირული მიმღერე,
არ მოსვლით რომ მომკლა, რა გასაკვირია.





ზიზო ბურდული

დაიბადა 1965 წლის 2 ნოემბერს წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში. დაამთავრა ქ.თბილისის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. 1991 – 1994 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს სკოლა - ინტერნატში აღმზრდელ - მასწავლებლად. 1994 – 2013 წლებში - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2013 წლიდან მუშაობს სოფელ არხილოსკალოს ბაგა - ბაღში დირექტორად.

თეთრი პრინცი

მთელი სიცოცხლე მე შენ გელოდი,
შენით ნათობდა ჩემთვის სამყარო,
ჩავლილ წლებს მოსვლად ისე შვენოდი,
არც მიფიქრია, რომ მათ გაგყარო.
მაგრამ უგზოთას რატომ იარე,
რად ვერ დაეხსენ სამყაროს შეშლილს,
წამლად ვერ ექეც სულის იარებს,
მაინც შენს სახეს გულიდან ვერ ვშლი.
გზა-ბილიკები სად დაიფერდა,
ერთურთს სად ავცდით, თეთრო მხედარო,
რად ვერ მიწამე ქალად და ღმერთად,
ანუ უშენოდ რატომ ვერ დარობს.
ხან თვალს მოგკრავდი რაშის გარეშე,
და ათას კაცში ვით უნდა მეცნე,
ხან ჯიხვებს სდევდი უცხო მხარეში,

ხანაც მოკითხვას უთვლიდი მერცხლებს.
გულს დაწოლილო დარდის ღრუბელო,
შენ დამრჩი ერთგულ მეგობრად მარტო,
ხან მოვიდოდა რაში უბელო,
მოხეტიალე უმისამართოდ...
.....
მე შენ გელოდი... მთელი სიცოცხლე...

თორელ

გადაგივიწყე უკვე, რომ მკითხო,
შენს მოლოდინში აღარ ვაღამებ,
შენგან თითქოსდა არაფერს ვითხოვ,
მოგონებებმა მაინც დამღალეს.
სულ მეფიქრები ჭიმღის ბილიკზე,
დოღში მიმქროლი ყორნისფერ რაშით,
მე ქუფრი მზერა გაგიქილიკე,
შენ შემოხედე ჩემს დალალს, დაშლილს.
გაიღიმე და განათდა თითქოს,
თითქოს გაიხსნა ცა და სამყარო,
შენგან თითქოსდა არაფერს ვითხოვ,
მაინც მინდა, რომ წუხილს გამყარო.
სულ მეფიქრები, მინდა თუ არა,
გადახვეწილი ქისტეთს ეულად,
ათასმა დარდმა გადაუარა
გულს, და ტკივილად გადაქცეულა.
.....
გადაგივიწყე თითქოს...
რომ მკითხო...

ხევსურეთში

ამაღლებულა შამბნარები ნასახლარებზე,
სამარისებურ სიჩუმეში არაგვი ბორგავს,

გადაუხურავთ ქვებს ხავსები ლეგა თვალებზე,
და ჭიუხები ჟანგმოდებულ, ძველ ხანჯლებს მოჰგავს.
.....
ამაღლებულა შამბნარები ნასახლარებზე,
სამარისებურ სიჩუმეში არაგვი ბორგავს.

მე მოვალ

მე მოვალ შენთან, როცა იქნება
ათენგენობის ორომტრიალი,
არ გავწვალდები, ნუ გეფიქრება,
მოვალ ,,ლურჯაის“ ნალთა წკრიალით.
    გზებს გამოვყვები დარდის ამარა,
    (ღმერთო, ჯვარს მაცვა შენმა მდურვამაც...)
    გეტყვი, რომ ლამის დამასამარა,
    შენმა ტრფობამ და შენზე ურვამა.
შემოვადგები არხოტს ღამეში,
გადმოვჭრი მინდორს ღამისმთევლების,
გიპოვი სადმე ლექსით გალეშილს,
მოვალ და თავზე შემოგევლები.

წვიმასთან ერთად

რაღაცას ითხოვს, რაღაც უნდა, რაღაც აწვალებს,
მომყვება გვერდით, მოსაუბრობს, აღარ მცილდება,
მზეს მოარგესო გუშინ თვალზე მუქი სათვალე,
რა უჭირს-მეთქი, ვეუბნები დასამშვიდებლად.
    არ ვიცი, თითქოს ცივი დარდი უჩუმრად შევსვით,
    ძირს მიწა ტირის, მაღლაც მარტო მტირალა ცა არს,
    ვსაუბრობთ, თუმცა ერთურთისა ნაკლებად გვესმის,
    ერთმანეთს ვართობთ, უფრო ასე ჰქვია ჩვენს ბაასს.
მივდივართ ასე... გზა სველია, გრძელი და ძნელი,
შორს სადღაც თითქოს მზის ღიმილი ჩნდება იმედად,

მხრებზე მეხვევა მისი მძიმე, ვეება ხელი,
დამშვიდობება მინდა მასთან, ვერ გამიბედავს.
და ვუტრიალებთ უთავბოლოდ მზის მუქ სათვალეს,
დასამშვიდებლად ვეუბნები, რა უჭირს-მეთქი...
მივდივართ ასე... მივდივართ და ორთავ გვაწვალებს
უთქმელი დარდი, რომ გვსურდა და ვერც ერთმა ვერ
ვთქვით.

მე მახსოვს

,,მე ალბათ ჭიმღელი ლელაი ვიყავი,
მიყვარდა გველეთელი ალუდა...“
/თამარ ერისთავი/

ვიყავი ჯუთელი ხათუთა,
მიყვარდა ჭიმღელი თორელი,
მახსოვს, გულში მყავდა სათუთად,
დღეს კი შორია და შორელი.
მახსოვს, ენძელების, ღვიების,
მინდიასავით რომ ესმოდა,
მახსოვს, რომ მაჩუქა იები,
დეკით გადაპენტილ ბექობთან.
მახსოვს, ჯიხვთ რომ სთხოვა ზავი და
ქისტეთს რომ წავიდა თორელი,
მერე დიდი დრო რომ გავიდა,
მერე... ამაოდ რომ მოველი.
მანდილს რომ მოვხსენი მზეები,
და დავრჩი სიფითრის მთოველად,
ჭიუხნი, ქარაფნი, კლდეები,
რომ მეჩვენებოდა თორელად.
ცხადში თუ სიზმრად რომ ვნატრობდი,
(მოწმენ ხართ, ჩემ ჭერხოს ყორენო...)
სადა ხარ, ოღონდაც დაბრუნდი,
ჭიმღაში დაგხვდები, თორელო!

გიორგი გარსენიშვილი

დაიბადა 1974 წლის 12 იანვარს წითელწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო კვების მრეწველობის ინსტიტუტში. ამჟამად არის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი. არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანების წევრი. მისი ლექსები პერიდულად იბეჭდება რაიონულ პრესაში. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული: „მზის ჩასვლის შემდეგ.“ ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

***

გარდასულ დღეთა ქარტეხილით გულს გავიმაგრებ,
მე, ქართველს როგორ გამაოცებს ცისკრის თაღები...
დგას ხორნაბუჯი, შეუვალი ციხე-სიმაგრე,
ჩვენი წინაპრის წმინდა ძვლებზე მყარად ნაგები.
გახსნილ იარას პირს ვერ უკრავს დროთა სიშორე,
იმედი მნელად საპოვნია, როგორც ცდომილი,
საბა-სულხანის სევდა ღვინით ვერ მოვიშორე,
საუკუნეთა სიშორიდან გადმოსროლილი.
დროთა რბოლის და ბედისწერის მაინც არ მჯერა,
მე უკვდავება რაც შემეძლო, ისე ვიწამე,
გულში ჩავიკრავ არსაკიძის მოჭრილ მარჯვენას
და ამ ჭკვაშეშლილ ეპოქაში გამოვიტაცებ.

მამული დამიფარე, დედაო მარიამ!

წყვდიადი ჩამოწვა, მიწამდე ცა იწევს,
ირგვლივ სიცივეა, წვიმაა, ქარია,
ნათელი გვაღირსე, მზის სხივი გვაღირსე,
სამშობლო დამიფარე, დედაო მარიამ!
კალთა დაგვაფარე, ვაება გვაკმარე,
მრავალნი წყვდიადის ნაჭუჭში არიან,
ვერ იქნა, ვერ შეძლეს თავდახსნა აქამდე
და შეგთხოვ, უშველე, დედაო მარიამ.
ეს რთული ცხოვრება, ეს შავი ნიღაბი
მართლაც რომ ძალიან შესაზარია,
სიბნელის კერპები, ბომონის სიმაღლის
მიწასთან გაასწორე, დედაო მარიამ.
ამ გულის ტკივილი ცოტათი დამიამე,
დღეები ფიქრსა და წუხილში გადიან,
ნათელი მოგვმადლე, სამშობლო დამიფარე,
მამული დამიფარე, დედაო მარიამ!

თუ გსურთ

მე ოცნებებმა ძლიერ დამღალეს,
რადგან დარდს თავი არ მოვუხარე,
პოეტს პატივი დაასამარებს,
გაანადგურებს ტაში მქუხარე.
როგორც სხვას, მეც მსურს მზისკენ გაფრენა,
რადგან ეს მიწა იქცა არენად.
თუ გსურს პოეტის სულის დაფლეთვა,
ხოტბა ნურასდროს დაგენანებათ.
ერთი სურვილიც ვერ ავისრულე...
ცაზე ღრუბლებმა გადაირბინეს..
თუკი პოეტის მტრობას ისურვებთ
ნუ დაიშურებთ დაფნის გვირგვინებს.
დრო ყაჩაღივით მიიპარება,

ღრუბლებს ჩამოსწყდა წვიმის ფარდები...
თუ გსურთ პოეტის დასამარება,
ფეხქვეშ დაუგეთ ია-ვარდები.
ასე მოითხოვს თურმე ბუნება,
რომ შევეჩვიოთ „ საყდრულ სიჩუმეს“.
თუ გსურთ პოეტის დასამარება,
ხოტბა-დიდებას ნუ დაიშურებთ.

„ნეტარ არის“

კვარი ბჟუტავს მინამქრალი
მოხდილია ჭური,
განიკითხეთ მათხოვარი
მიაწოდეთ პური.
ქრისტე აქცევს პურს ათასად
შესარგებლის ყოვლად.
„ნეტარ არის“ ჩალის ფასად
გაყიდული მონა.
ინავლება უკვე კვარი,
შარას მისდევს მახა,
„ნეტარ არის“ უპოვარი,
„ნეტარ არის“გლახა.

ვიაროთ სანამ ზურგის ქარია

სისხლის ძარღვებში ცეცხლად დამივლი,
ეს ცეცხლი, კარგო, ჩემი ლექსია,
მე მოვალ შენთან მზიან ამინდში
რომ გეთაყვანო ვით ეკლესიას,
მოდი, მე მჯერა, არა ხარ გულქვა,
ჩემი ვაებით მთები იძვრიან,
არაფერს ამბობ, ბრძენივით სდუმხარ,
მე კი დუმილი არ შემიძლია.

მოდი, მოვარდი როგორც ღვარცოფი,
შემოამსხვრიე ტალღა ჯებირებს,
მოდი, მომიგდე ერთი ამბორი
და სიყვარული გამაბედვინე,
ვერ ხედავ, როგორ სწრაფად გადის დრო,
მე უშენობით რატომ ვეწამო,
მოდი, თვალებში ცრემლი დაგიშრო
ბაგე - თაფლო და ტანო - ლერწამო .
ნუ შეჩერდები, ჩვენი სავალი
გზა და ბილიკი არვის უვლია,
ერთი გაბედვა არის მთავარი,
მერე ოქრო და იაგუნდია,
დაბრუნდი ჩემთან, ჩვენი ვალია
კლდეზე პრომეთეს ჯაჭვი ავყაროთ,
ვიაროთ სანამ ზურგის ქარია,
სანამ მშფოთვარე არის სამყარო.

გიორგი გიგაური

დაიბადა 1989წლის 10ივნისს, დედოფლისწყაროს რაიონში. 2007წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს რუსულ-ქართული საჯარო სკოლა.2007-2011წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. ოჯახი: მამა ირაკლი გიგაური, დედა-მერი ზვიადაური, ძმები თემო და მამუკა გიგაურები. წარმოშობით არის ხევსურეთიდან სოფელ ბლოდან, იქ ცხოვრობდნენ მისის წინაპრები, იქაა მისის მამიშვილობის ხატი და სალოცავი, მამუკაურთ მამიშვილობის გიგაურია, ბერდია მამუკაურის შთამომავალი.

ერთი ხევსურის ოცნება

მე მინდა ერთი ლამაზი ქოხი,
სადმე პატარა ტყის პირას მქონდეს.
დილით გაზაფხულის მათბობდეს სითბო
და მზის ჩასვლისას ნიავიც ქროდეს.
ტყისპირა გაშლილ ხავერდოვანზე,
ხვადი რომ ბალახს ჭიხვინით ძოვდეს
და ქოხში მჯდარი მზეთუნახავი,
ჩემთვის პერანგს და პაჭიჭებს ქსოვდეს.
ბავშვიც აკვნიდან პირმომცინარი,
დედას თავის წილ ძუძუსა სთხოვდეს
და ხეზე მჯდარი ჩიტთა ჭიკჭიკი,
 რაღაც საოცარ სიტურფეს შობდეს.

მინდა რომ მქონდეს თოფ-იარაღი,
ტყვია-წამალიც ულევი მქონდეს
და ზეციური წმინდა გრძნობები
დე ამ ქვეყნიურ სიბილწეს სპობდეს.
იქვე მახლობლად ჩემი ქოხისა
ავაშენებდი პატარა საყდარს
და იქ ვივლიდი გულზე მოსული,
ღმერთს მოვუხმობდი, ვკითხავდი "სად ხარ?"
გავზრდიდი ვაჟებს, მგლისფერ ნაშენებს
მკლავის და მარჯვენის იმედად მყოფებს.
დავურიგებდი ჩემს ქამარ-ხანჯალს
და შორს სასროლად მივცემდი თოფებს.
დავუბრძენებდი ჭკვა...აზრს..გონებას
ავარიდებდი მიწიერ შფოთებს.
მივცემდი ძალას, უძლეველ ძალას
 არც გაფრთხობოდნენ სისხლიან ომებს.
მე მინდა კიდევ ქოხის მახლობლად,
ტირიფი ტბაში რომ ხრიდეს ტოტებს.
ჩამოვჯდებოდი ტირიფის გვერდით
და დავუკრავდი საოცარ ნოტებს.
თავს მოვუყრიდი იქვე ვერხვებში
ქარისგან უსულოდ გაფანტულ ფოთლებს.
ისე დავწვავდი, უხმოდ, უსიტყვოდ
როგორც უსიტყვოდ კრძალავენ ლოთებს.
ტყეშიც ვივლიდი შეშის საჭრელად,
საგზლად წავიღებდი სატანს და შოთებს.
მხოლოდ ხმელ ხეებს მოვჭრიდი რიდით
და არ მოვსპობდი ახალს და ნორჩებს.
შუადღის ხანს კი შევისვენებდი,
ლუკმას ავტეხდი, დავწერდი სტროფებს.
საღარი ღამის მომცემდა ნიშანს
მიწას დაჰკრავდა, დანალულ ფლოქვებს.
და ვახშმობის ხანს მე ძველ ბუხარში
შევყრიდი ტყიდან მოტანილ ტოტებს.

მოვასვენებდი დაჯაფნულ მკლავ- მუხლს
გავაგორებდი ბროლისფერ კოჭებს.
მე მინდა კიდევ წყაროს ჩუხჩუხი,
ნეტარ, საამო ძილბურანს მგვრიდეს.
ცქერა მძინარე ჩემი ვაჟების,
უფრო მებრძოლს და ამაყსა მხდიდეს.
მინდა, რომ ლექსში ვიცხოვრო მაინც,
წუთში განვლილი ჩემი ცხოვრება.
ცოტახნით მაინც ლექსში დავკარგო
ტკივილიანი ცრემლი, გოდება.
არ მიმონია არცროს არვისზე
და ნურც ნურავინ დამემონება.
ლაღი ცხოვრების გემო მწყურია,
უკვე გამასწრო, არც მელოდება.
მე მეტი ქვეყნად არ მინდა არცრა
და არც მოვითხოვ არ კუთვნილს ქვეყნად.
ერთი პატარა მიწურის გარდა
გულში ხალხისად ამოსულს ეკლად.
მე მეტი მართლა არ მინდა არცრა.
არც ღმერთს ვაწყინო და რამეს ვთხოვდე.
მე მინდა ერთი ბებრული ქოხი
სადმე პატარა ტყის პირას მქონდეს.

უკვე მერამდენედ

უკვე მეათასედ, უკვე მერამდენედ
ჩუმად უშენობა ჩემთვის დავითვალე.
ბუდის არწივივით მთებში გავიხიზნე,
თითქოს მოწოლილი დარდი გავიქარვე.
მერე დამშეული შენი სიყვარულით

მეჩხერ ჭიუხებში უგზოდ დავიკარგე.
ვკრიფე გვირილები, მთების გვირილები,
მერე ეს გრძნობებიც მათში გავითვალე.
ზოგმა სიყვარული შენი მომილოცა,
ზოგიც გამიწყრა და ესეც ავიტანე.
მერე დაკარგულმა გზები გავიკვლიე,
მაინც მარტო დავრჩი, მარტოდ დავიღალე.
მერე ნამთვრალევმა, ისეც შფოთიანი
დარდში და წუხილში ღამე დავიმგვანე.
თითქოს თენებისას ფიქრში ჩამეძინა,
ძილში მეღირსე და სიზმრად დაგინახე.
ისე მიხაროდა, ისე ვმაღლდებოდი,
ისე ვივსებოდი, როგორც ბადრი მთვარე.
მერე მერამდენედ..ისევ მერამდენედ
ღამით მარტოობის ფიქრით დავიჩაგრე.
თითქოს მოწყენილმა გული დავიმშვიდე,
ალბათ უბედობის დღეზე დავიბადე.
მერე..უიღბლობით ძლიერ გადაღლილი
არაგვს ავყევი და მთებში გავიპარე.
კენტად დარჩენილი მთებმაც არ მიმიღო,
ლამის ტყვია გულში თავად დავიხალე.
უკვე მერამდენედ,შენი სიყვარულით,
თითქოს დავობლდი და ისევ დავიბადე.

მაყვალა გონაშვილი

დაიბადა 1959 წლის 1 მარტს წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი არის ავტორი წიგნების: „ყაყაჩოების კოცონი“, „მზის ცრემლი“, „მე თქვენ მიყვარხართ“, „სალოცავო ჩემო, საფიცარო ჩემო“, „სახეები და სახელები“, „კიჭას საოცარი თავგადასავალი“, „კუდიანი ვარსკვლავის სამეფოში“, „მზებუდობა“ და სხვა. 1990 წელს დაარსა ახალგაზრდა მწერალთა დამოუკიდებელი ორგანიზაცია „გულანი“, რომლის პრეზიდენტადაც აირჩიეს. 1990 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, დღეისათვის კი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

***

შიში, რომელიც არ იქმს სიყვარულს,
შიში - ქცეული მხოლოდ თვალებად,
როგორც ზეცამდე მთვარის დღეობა,
სულში გველივით მოიპარება.
შენ კი გაოცებს, რა დროს შიშია,
ჯერ რა გინახავს, ჯერ რამ დაგღალა,
არ გაგიგია კარზე კაკუნი,
არ მოგიხდია წლებისთვის ღალა.
არ გაგიშვია საომრად სატრფო,
არ დაკვდომიხარ ყვითელ ბარათებს
და ცეცხლი, ცეცხლი არაა შენთვის,
გუზგუზებს თბილად და სულს ანათებს.
არ დაუღრჩვიხარ გადაყლაპული
ხაოიანი სიტყვების გორგალს,

იქნებ შენს გენში შენი წინაპრის
შემკრთალი სული კივის და ბორგავს.
-მე მეშინია, რომ სიყვარულმა
დაკარგა ლურჯი იების ფერი,
რომ ბედნიერი ქვეყნად ცოტაა
და მარტოსული - ძალიან ბევრი.
რომ მანამ უნდა დაღლილ სულს შველა,
უსიყვარულოდ სანამ დაზრება,
რომ ცას დაკბენილს რკინის რაშებით
უჭირს სუნთქვა და უჭირს გაძლება,
როგორც მუჭიდან წყალი წვეთ-წვეთად,
რომ იპარება წამები უხმოდ;
რომ უდარდელი ბავშვობის დღეებს,
ამაოდ ვეძებ, ამაოდ ვუხმობ.
რომ არც მზე ვარ და არც ვერცხლის მთვარე
და ნახევარი სიმართლით ვცხოვრობ,
რომ გმირის ნიღბით გამოდის ჯუჯა,
ჩვენ კი სპექტაკლში ვთამაშობთ ქოროს.
რომ ცას მზესავით ვკიდივარ თმებით,
რომ გამებზარა რწმენა და გული,
მტკივა მამულის ყოველი გოჯი
გაჩუქებული და გაყიდული.
როცა დარეკავს ჟამი განკითხვის,
ცა სამაისო შვიდჯერ იელვებს,
რითი შევავსებთ, ვიცოდე მაინც
ამ გასაოცარ სიცარიელეს.

***

მოგდევს ქუჩები
ვნებიან მზერით,
შენი საყურეც
მზესავით ელავს
და იმის გარდა,
ვინც შენ გიყვარდა

საოცარია,
უყვარხარ ყველას.
დარბაზი სავსე
ტკივილით, თრთოლვით,
შენი დექსები იქცა თილისმად
და გულისყურით გისმენს სუყველა,
ვისთვისაც წერდი, გარდა იმისა.
როცა გაჰყვები გზებს უკვდავების,
ჩამოეშვება მწუხარე ფარდა,
სუყველა მოვა და დაგიტირებს,
ვისთვისაც მოკვდი,
იმ ერთის გარდა.

****

მოდიხარ ჩემთან მოზომილი ნაბიჯით, სიტყვით,
თითქოს სხვისია ეს ქალაქი, მიწაც და ცაიც,
გამესაუბრე, რაზეც გსურდეს, გემუდარები,
წიგნში წაკითხულს რომ არ ჰგავდეს ცოტათი მაინც.
ნეტავ რად გინდა ჩემთან ასე ენამჭევრობა ?
რად მიშლი ფერხთით ვნებებს, როგორც
 ქაღალდის იებს?
შენ მოგწონს ჩემი სილაღე და დაუდევრობა,
რომელსაც, ვიცი, ხვალ არასგზით არ მაპატიებ.

****

ვით თესლი ხნულში - მზის აკვირტებას,
ვდგავარ და გელი მთელი წელია,
ჩემი სულიდან წამოსულ წვიმებს
შენამდე ვერც იკი მოუღწევიათ.
არ გაიმეტა ბედმა-ავბედმა,
ჩემთვის ღიმილი და თეთრი ფარჩა,
თვითმკვლელობამდე , შენი უარი
და კიდევ, ერთი ნაბიჯი დამრჩა.

ლელა გონაშვილი

დაიბადა 16-09-1963 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში. 1980 წელს დაამთავრა სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლა. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მუშაობდა სოფელ ჯაფარიძის ამბულატორიაში პედიატრად. ამჟამად ცხოვრობს თბილისში.

მსაჯული

რა ვთხოვო გაფანტულ იმედებს,
შენს სირვილს არავინ მისრულებს,
ალბათ სასიკვდილოდ მიმეტებს
გული, გახეთქვამდე მისული.
შემაბეს ტკივილის ყულფი და
ბოლო სიტყვასაც არ ვითხოვ.
თუკი გამიმეტე ამჯერად
ვიცი, აღარასდროს დამინდობ.
ახლა შენს მზერასაც არ ვეძებ
და გულის კუნჭულში მიმალულ
შენგან დაწუნებულ ლექსებს და
შენგან უარყოფილ სიყვარულს
ვინახავ, განკითხვის დღეებში
მოგვიწევს ერთურთის მიგნება
და ჩვენი პირველი მსაჯული
ეს ჩემი ლექსები იქნება.

გაღმერთება

ქალი ან უნდა გააღმერთო,
ან მიატოვო,
სხვა ყველაფერი სიყალბეა
რემარკი

იქნებ გაღმერთებას გთხოვდი,
როგორ გავბედავდი, როცა
ერთი შემოხედვაც მყოფნის,
შენი გაღიმება მლოცავს.

იქნებ სიყვარულსა გთხოვდი,
როგორ გავბედავდი, როცა
მაგ ხმის გაგონებაც მყოფნის,
შენზე ოცნებები მმოსავს.

იქნებ გააღმერთე ვიღაც,
მიტომ დამივიწყე ერთო,
ჩემი მარტოობის სევდავ,
ჩემო გაღმერთების ღმერთო.

****

აღარ შემაფეთო მზერა,
თორემ დავივიწყებ გავლილს,
თორემ გამოხედვას გულგრილს
ისევ სიყვარულად ჩავთვლი.

ისევ მოვუძებნი ჩემს თავს
შენთან შეხვედრების მიზეზს
და ვერ გავუტყდები რომ კვლავ
გულში სიყვარული მიძევს.

ვითომ არ გიცნობდი სულაც,
ვითომ არ მიცნობდი სულაც
და არ ვატარებდი უბით
მე შენს გადამალულ სურათს.

ნუღარ განმიახლებ ტკივილს
თორემ უსათუოდ მომკლავს
შენი დაკარგვა და ჩემი
ისევ უმზეო დღის მოსვლა.

მინაწერი რეზო ინანიშვილის მოთხრობაზე
"ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი"

ვინ მიუხვდება ბოლო სურვილს ნეკერჩხლის ფოთოლს,
არუდღუდებულს, აღტკიცებულს, წითლად ალანძულს,
ზამთარი მოდის სუსხი მეფობს, საცაა მოთოვს,
დარჩენა უნდა, მოძმეებთან წასვლა არა სურს.

შეშფოთებულან მაჩვი, მუხა - ტყის ყველა მკვიდრი.
წყაროც გაოცდა: -ამ ყინვაში ასე ლოდინი?
მაგრამ ნეკერჩხლის ტრფობის ცეცხლი, მწველი და დიდი,
ფოთოლცვენასაც არ შეუკრთა - უდრეკ ლოდივით.

პირველი თოვლი: ხარირემი ბილიკზე მოდის,
ნეკერჩხლის ფოთოლს მღელვარებით ფერი ეცვლება,
უცებ იღვრება მისი მხრიდან სიმტკიცე ლოდის
და განაბული, ხარირმის წინ, თრთოლვით ეშვება...

... ხვალ-ზეგ კი ტყეში ალბათ ისევ უნდა მოთოვოს,
დიდი გრძნობების საფარველი მხოლოდ თოვლია,
მე კი ამ ჩემს გულს გაცივება როგორ მოვთხოვო,
როცა ფოთოლსაც ამოდენა გული ჰქონია.

****

სადღაც უფსკრულში მიმაქანებს ისევ ეჭვები,
წყალწაღებულის მოსაჭიდი ხავსიც არა ჩანს,
მობუზულები, წელმოხრილნი, დგანან ფიჭვები
და თოვლის მძიმე მოუხურავთ წელზე ფარაჯა.
გული ილევა, გრძნობა დნება, ოცნება ქრება,
გამიძნელდება ნეტავ, ცხადშიც თვალის შევლება
შენი სახისთვის, ყოველ ღამე სიზმრად რომ ვხედავ
თუ აღარასდროს სიზმარშიაც აღარ შემხვდები.
ყალბი დიდება გაუყვება დრო-ჟამის ბორანს,
ძველი საზომით აღარ ვზომავ ნაცნობ მეგობარს,
შენც შეიცვლები, ისე როგორც პატარა გორა,
მე ბავშვობაში მთა რომ მეგონა.

ლექსო ლეკიაშვილი

დაიბადა 1982 წლის 11 ნოემბერს, დედოფლისწყაროში.
ლექსების წერა 15 წლის ასაკში დაიწყო. პროფესიით არის ჟურნალისტი, ფსიქოლოგი. ცხოვრობს თბილისში. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

****

ტკივილმა გული კვლავ მიიზიდა,
ვიღაც წარსული დღეებით ხარობს,
საკინძის ღილებს იხსნის იზიდა,
რითმებს სახეში ნუ მაყრი, ქარო!
მოენატრებათ შვილები ანცი
და საუკუნეს, წამებით ნაქსოვს,
მწარე ღიმილით გახედავს კაცი
და ქალიც ჩუმად ჩურჩულებს - გახსოვს?

***

ღამეებს ალბათ ფიქრებში ათევ,
თვალებს ასაკის აჩნიათ დაღი
და ხილაბანდის ჩარჩოში ვატევ,
როცა ხელებში გეჭირე ბალღი.
შენ აირეკლე მზის ათინათი,
უგნურმა ბედმა შუბლი დაღარა,
შენ ალბათ მზესაც სჯობდი, თინათინ,
მაგრამ დაბერდი!.. მზე კი აღარა!..
შენ მზეს ისევე სჯობიხარ, ამინ!
და მეც ამ სიტყვებს ხმამაღლა ვამბობ:
შენ შვილიშვილი სამი გყავს, სამი,
მზეს კი არცერთი არა ჰყავს, ბაბო!

****

"თოთხმეტი წლისა აღმკვეცეს მონაზვნად,
სამოცდათოთხმეტი აქ შემისრულდა...
რა ლამაზი იყავ, ბიჭო!"

წარწერა ვარძიაში, ტაძრის კედელზე

როგორ უყვარდა... ვინ იცის, როგორ...
არც მოელოდა ტანჯვას უადრესს...
მიჰგვარეს უფალს პაწია გოგო
და პანაშვიდი გადაუხადეს!
"ნურვინ გიყვარან!"... ქალმა პატარამ
მონაზვნის კაბით დაფარა ნიჭი
და მერე ჩუმად, გულით ატარა
ხატება ერთი ლამაზი ბიჭის...
ან ვინ იცოდა, დედას შაოსანს
ვისი ღიმილი აჩნდა ტკივილად...
ის არ დაწერდა "ვეფხისტყაოსანს",
მან მხოლოდ ერთხელ დაიკივილა...
თოთხმეტი წლისას ჩააცვეს შავი,
წარსულს ჩაბარდა ლამაზი ფარჩა...
მან პოეტურად დახარა თავი
და კედელს ერთი სტრიქონი დარჩა.
იქნება, გამვლელს შეავლო თვალი...
იქნება, ბერი უყვარდა ძლიერ...
სამოცდათოთხმეტს მიადგა ქალი,
ასაკის დაღი დააჩნდა იერს...
ტაძრის კედელზე ცრემლით ნაწერი
(მთელი ცხოვრება ალბათ იტირა)
მან ამჯობინა ლექსებს გაწელილს
და დრომ ცრემლები გააქვითკირა.

ეს სევდიანი, მცირე იგავი
შენ მოგიძღვენი, ჩემო ფერია!
იქნება, ჩემი სატრფო იყავი
და ის სიტყვებიც ჩემზე სწერია?
არ ვიცი, ჩემო, რა გითხრა ახლა,
უფლის სახელით ჩაკლულო ნიჭო...
მუზას არ უყვარს ლოცვებით დაღლა...
"ეჰ, რა ლამაზი იყავი,ბიჭო!"

* * *

ვერაფერი ვერ მიშველის, ვხვდები,
სანამ სული სულ არ დამელევა...
მარადიულ შიმშილისგან ვკვდები,
ერთი ვაშლი მომიწყვიტე, ევა!
დროა, ჩავკლათ უსაფუძვლო შიში,
დროზე, სანამ ფეხქვეშ ხიდი დალპა,
ამ ცხოვრებამ უკვე მითხრა ქიში
და შამათსაც გამიკეთებს ალბათ.
ამ ქვეყანას თუ ვერ დავემკვიდრე,
შენ გგონია, თავს მოვიკლავ? - არა!
მოდი, ცეცხლის ხაზზე გავალ ვიდრე,
დამეწიე, მოდი, მოდი ჩქარა!
წყალზე ჩამო, მხარზე შედგმულ დოქით,
მომენატრა ტუჩის ტუჩით ბანა,
ჩამოდი და თავს დავიცავ როქით,
ამ პარტიას ასე დავთმობ განა?
კალმის წვერით მიწა შემოვხაზე,
ამოხეთქავს ლექსი, როგორც ლავა
და შენც თუკი თავს დამადებ მხარზე,
ეს პაიკიც ბოლო ხაზზე გავა.

მოდი, ერთად ყველაფერი ვსინჯოთ,
სანამ მსაჯი დაასრულებს ტაიმს
და მე ისევ დამარცხება მიჯობს
ცხოვრებასთან გაკეთებულ ყაიმს!

***

მოენატრებათ შვილები ანცი,
განვლილ ცხოვრებას, წამებით ნაქსოვს,
მწარე ღიმილით გახედავს კაცი
და ქალიც ჩუმად ჩურჩულებს - გახსოვს?
ამ დროს ეშმაკიც ვეღარ ქირქილებს,
შენც გაიზარდე, უღელო ხარო,
იზიდა იხსნის საკინძის ღილებს,
საწუთროვ, რარიგ უძლური ხარო!

ქეთევან ნათელაძე

დაიბადა 1993 წლის 6 თებერვალს. დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლა. წერს ადრეული ბავშვობიდან. 2009 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული - ''ყვავილების ინტერლუდია'', 2014 წელს გამოვიდა ლექსების მეორე კრებული - ''რეპორტაჟი ციდან'', ხოლო 2016 წელს გამოვიდა ლექსების მესამე კრებული - ''ჰიპნოზი''. 2013 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ასევე ხელოვნების და მეცნიერებათა აკადემიის წევრი. არის ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებული, პერიოდულად იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. 2015 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და პროფესიით ფსიქოლოგია. ამჯერად ემზადება მაგისტრატურისთვის.

***

წვიმს და ეს წვიმა აღარ არის თითქოს საჩვენო,
გასკდება გული, თავის თავში იმდენ დარდს იტევს,
ისე მინდა, რომ დაგეწიო და შეგაჩერო,
როგორც ხეს უნდა გაეკიდოს გაფრენილ ჩიტებს...
ისე მინდა, რომ დაგეწიო... ჩამქრალ აისებს
ისე მინდა რომ გინათებდე თეთრი ლექსებით,
და ისეთივე უძლური ვარ და უსასოო,
როგორც ხე - მიწას მიჯაჭვული მძლავრი ფესვებით...
და ისეთივე ამაოა ყველა მცდელობა,
ვდგავარ და ქარში ამ ფოთლების სუსტი ხმებია.

მხოლოდ უძლურ ხეს ძალუძს იყოს ისე სულელი,
რომ მისი მოსვლის რწმენა ჰქონდეს, ვისაც ფრთები აქვს...
წვიმს და ეს წვიმა აღარ არის თითქოს საჩვენო,
გასკდება გული, თავის თავში იმდენ დარდს იტევს,
ისე მინდა, რომ დაგეწიო და შეგაჩერო,
როგორც ხეს უნდა გაეკიდოს გაფრენილ ჩიტებს...

***

დაღლილმა ტალღამ ნაპირებთან ღამე გარიყა,
სულს ყვავილები გააცალეს ცივმა ქარებმა,
მეცოტავება ყველაფერი დღემდე რაც იყო,
ხვალ რაც იქნება, უფრო მეტად მეცოტავება.
ამ მკვდარ დღეებში სასწაულის ფერით შემოდი,
ამიხმიანე ვარსკვლავები ცაზე ზარებად,
მთელი სიცოცხლე ცოტა იყო, რომ მყვარებოდი,
და კიდევ უფრო ცოტა არის გარდაცვალება...
ვყოფილიყავი მიწიერი მე ვერ შევძელი,
შემომახვია თეთრი თოვლი ღამემ მკლავებად,
შემომთავაზე რამე უფრო სულისშემძვრელი,
ჩვეულებრივი სიყვარული მეცოტავება!..

შენ ღმერთი იყავ - სიყვარულო!

შენ ღმერთი იყავ სიყვარულო, ჰოდა ახლიდან
ვინ იცის კიდევ როდის მოხვალ...გზები გაწვრილდა,
რაც შენ წახვედი, ჩვეულებად იქცა დაღლა და
ჩემი სხეული უსაშველო სევდით დამძიმდა...
ვერ შეგიყვარა, გარდამავალ ფერთა შემყურემ,
ცივმა ქარებმა ფანჯრებიც და სულიც დაგმანეს,
და მოიხდენენ ეს ხეები უწინდებურად,
ამ შემოდგომით მკვდარ ფოთლების ყვითელ მაქმანებს.
ვცხოვრობ სიზმრებში, მარტოობის ვგავარ ფანტომებს,
მწამს მარტოობის, ამ სხეულის სულთან გაცლამდე,
შენ ჯვარზე გნახეს ასული და ისე დამტოვეს,

რომ შენი ჯვრიდან გადმოხსნაც კი არ დამაცადეს.
შენ სულგრძელი ხარ სიყვარულო და შენ შეუნდობ,
მაგრამ მე რა ვქნა, თუ მზეც გახდა სევდის ზიარი,
ბოლოს გიწამეს, მაგრამ ბოლოს რა ბედენაა,
ხან ღმერთის რწმენაც მე თუ მკითხავ, არის გვიანი...
შენ რად გინდოდა სიყვარულო ვინმეს ნიღაბი,
ბრმათა და სმენამოკლებულთა შორის ვიდოდი,
შენ ღმერთი იყავ სიყვარულო და აქ იყავი,
და ყველაფრისგან მიფარავდი, ჰოდა მშვიდობით...
შენ ღმერთი იყავ სიყვარულო და ვერ გიშველე,
შენი ტკივილი მტკიოდა და სუნთქვას მიკრავდა,
თვალები შეგრჩა ისე სუფთა, ისე შიშველი,
უკვე გიწამა სიყვრულო, მან, ვინც გიყვარდა.
ცას ისე სტკივა...წვიმა არა, თავსხმა წამოვა,
დღესაც მიწაზე უშენობით უნდა დაღამდეს,
რაში დასჭირდათ შენი ჯვარცმა, შენი აღდგომა...
შენ ღმერთი იყავ სიყვარულო, ჯვარზე გაკვრამდეც!..

***
მოგონებები რჩება გულს მხოლოდ,
და ახდენილი სიზმრები თვალებს,
დამშვიდობება რომ ერქვა ბოლოს
მშვიდად ჩვენს წასვლას სხვა-და-სხვა მხარეს.

და რადგან ქარი სხვა მხარეს ქროდა,
მეც გზას ვირჩევდი სანდოს და მარტივს,
რა გამყინავად ცივი ხმა გქონდა,
მის მიმართ ჩემგან ნათქვამო "წადი".

დღე იყო თითქოს არაფრის მსგავსი,
არ მიტოვებდა ხსნას და არჩევანს,
რა მტკივნეული იყავი მახსოვს,
იმ ღამით ჩემო მარტო დარჩენავ...

იმედად მყავდე...

რადგან დროს ჩვენთან დღეს წლები მართებს,
და ტანში ნაცნობ სიცივედ გვივლის,
თავს მოვიტყუებ - შემხვდები სადმე,
და გამიხუნებ დარდსა და ტკივილს.

რადგან ჩვენ უფრთოდ ბურუსში მივქრით
და ხელს საშველად არავინ გვიწვდის,
თავს მოვიტყუებ ამიტომ ფიქრით,
რომ გზის ბოლოში შენ ხარ და მიცდი...

მე მეგონება რომ დარჩა მითი,
რომ გაათენოს უკუნი ბნელი,
მე მეგონება არსებობ მისთვის,
რომ შემაშველო დაქანცულს ხელი.

მე მეგონება ბავშვივით მალე,
წვიმის მაგიერ შენ მოხვალ კართან,
და არასოდეს ავყია ქარებს
ჩემს კართან მოსვლის ნებას არ დართავ!

მე მეგონება, თუმცა კი შორს ხარ,
რეალობაშიც, ნატვრაშიც, ფიქრშიც,
მე მეგონება - საცაა მოხვალ
და აღარაფრის მექნება შიში.

დაე მეგონოს, თუკი ეს რწმენა,
გამიადვილებს გასავლელს სხვამდე,
მომეცი ნება ასე მოგონილ
და უსაფუძვლო იმედად მყავდე.

თამარ ნასრაშვილი

დაიბადა 1963 წლის 23 ოქტომბერს, წითელწყაროს (ამჟამინდელი დედოფლისწყარო) რაიონში. დაამთავრა სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა, თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი და თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული უნივერსიტეტი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დავხატავდი

დავხატავდი ლერწმის კივილს...
თუთის ჩრდილის მაგვარ სევდას...
იმ წუხილს და იმ ღრმა ტკივილს,
სულ რომ... სულ რომ თან დამსდევდა.
იმ სიყვარულს დავხატავდი...
გულმოსული ცხენის ჭიხვინს....
მე რომ ჩემს თავს არა ვგავდი..
მე რომ დავიწყებაც მიჭირს...
ასე, ერთი ხელის მოსმით
დავხატავდი ქარს და გრიგალს...
რა მომქონდა ჩემი მოსვლით?..
- ის, რაც მწამს და ასე მიყვარს.
თვითონ მხატვარს - ერთი პეშვით
გულის დარდი დაელეწა -
და ეძებდა უღრან ტყეში
ლერწამს... ოღონდ, მართლა ლერწამს.

წმინდა მამას, ნიკოლოზ მაქარაშვილს

თეთნულდს მოვუყარე მუხლი,
მაღლა რძისფერია ნისლი...
ბრწყინავს დილაა თუ მწუხრი
ეს სისპეტაკეა „მისი“.
დუმილს, მრავლისმეტყველ დუმილს
მოაქვს ვებერთელა ზვავი.
მხოლოდ ღმერთთან ყოფნის სურვილს
არ სურს დააღწიოს თავი.
ზევით აზიდულა, ზევით...
სულიც თეთნულდივით ელავს,
როცა ვარსკვლავს სწვდება ხელით
სიყვარულს ურიგებს ყველას...
თეთნულდს მიგამსგავსე მამავ,
შენი თმა-ჭაღარა წვერით.
ახლა ცრემლი მომდის ღვარად...
და შენს გამოჩენას ველი...

მე მოვდიოდი...

მე მოვდიოდი... და არავინ მომდევდა უკან.
თავისთან ახლოს მეწეოდნენ უფლის თვალები.
ხელში მეჭირა გზის მკვლევარი - სამყაროს რუკა...
ვგრძნობდი, რჩებოდა უკან ჩემი ნატერფალები.
მე მოვდიოდი... არც მინდოდა გამოფხიზლება.
ო, რა საამოდ რეკდნენ, რეკდნენ ზეცის ზარები...
ზუსტად ვიცოდი.. ყველაფერი ახლა იწყება...
უკან რჩებოდა ჩემი თბილი ნატერფალები.

მე მოვდიოდი...

***

ამ ყოფას მე ვესვრი ხელთათმანს,
რადგან უშნო და ყალბია...
არ ვგავარ არც ერთ - ერთ მათგანს
გზას რომ იცვლიან...ან გარბიან.
კვლავ ვერ გადავფურცლე ეს გვერდი
კვლავ ვითვლი: იწილო-ბიწილო...
ვით ზაქე, მეც ხეზე ავედი,
რომ ზეცის თვალები ვიხილო.

მხატვარ ნიკალას

გაეხვეოდა ბალახში ფრთხილად
და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე.
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,
ნისლში შეხვეულ მთების სინაზე.

ვაზზე ელვარე ყურძნის მტევანი,
თუმცა, რთველობა მას არ ეხილა,
თვალში ჩაუდგა მზის შადრევანი,
მთვარე „ალავერდს“ გადმოჩეხილა.

თვალცრემლიანი ხშირად ხატავდა,
გაუცხოვებულ კაცის იერით,
თითქოს აქ, სწორედ ახლა გათავდა
ქვეყნის წარღვნა და დასალიერი.

ხატავდა, რათა ეშოვა ღვინო,
დაეფრთხო დარდი - ვით შავი კატა.
თორემ რა ჰქონდა მხატვარს სალხინო,
მერე სვამდა, რომ უკეთ ეხატა.

ფერთა მეუფე მუდამ თან ახლდა,
თვითონაც იყო არ აქაური.

ისე კი ჩვენთან გვერდით დასახლდა,
უკეთ შეეცნო ქვეყნის ხმაური.

გაეხვეოდა ბალახში ფრთხილად
და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე.
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,
ნისლში შეხვეულ მთების სინაზე.

მირზა გელოვანს

ყოველ დღეს მირზა ამ სიტყვებით იწყებდა:
„ფრიცებს ის ტყვია ჯერ არ ჩამოუსხამთ,
მე რომ მომკლავსო“

„ვაი დედაო“ _ ბოლოს გითქვია,
სად გყავდა დედა მებრძოლს და ხიზანს.
სად ჩაგისაფრდა „ფრიცების“ ტყვია
შენ, საქართველოს პოეტო მირზა.

და ოქროსფერი თმების სინათლემ
გადაგიტყუა სადღაც, ბნელეთში...
როდესაც სატრფოს ხილვა ინატრე,
მაშინ დაბნელდა აღმოსავლეთი...

შენი გრძნობა კი, გაუხუნარი
კიდევ ათას წლებს გასძლებს ლექსებად,
შენს სახელს მკრთალი და უჩუმარი
მთვარის ნათელი ეალერსება.

ახლაც, მებრძოლი პოეტი გქვია,
შესრულებული ეთქმის შენს მიზანს..
სად ჩაგისაფრდა „ფრიცების“ ტყვია
შენ, საქართველოს პოეტო მირზა.

გიორგი ნატროშვილი

დაიბადა 1969 წლის 8 აგვისტოს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო-მაჩხაანში. აქვე 1986 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა; 1993 წელს დაამთავრა ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი; 1999 წლიდან ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, იყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო გაზეთ „ხორნაბუჯის“ და საინფორმაციო გაზეთ „ინფოსპექტრის“ რედაქტორ-გამომცემელი. ამჟამად არის ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი. არის დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის, თელავის მწერალთა ასოციაციისა და საქართველოს მწერალთა აკადემიის წევრი. ჰყავს მეუღლე – ქეთევან მწყერაძე და ოთხი შვილი.

თუ პოეზია მაინც ცოდვაა?!

ჩაკირულია სულში სიტყვები,
უარესობენ სახვალიოდაც
და აღარ რჩება არსად იმედი
კვლავ გაცოცხლების თუნდაც იოტი.
ღმერთო მე ალბათ გულწრფელი არ ვარ
და ტყუილია ჩემი მცდელობა;
თუ პოეზია მაინც ცოდვაა,
მაშინ რა არის უცოდველობა?!
კაცმა ძეობაც რომ ვერ იშტვინა,
რატომ მიუგდე ეშმას ტიკინად?
რატომ წვალობენ მითხარ ღვთის შვილნი?
პოეტმა სული რატომ იტკინა?

ხსნას არსაიდან არ ველოდები,
შეპყრობილი ვარ სინამდვილეთი.
არ ჩანს პასუხი და მეცოდება
თავი და მთელი საცოდვილეთი!

თვითშეგონებაც

ამოფატრულა სიამაყე ეულ გულიდან
და იფუფქება მოულოდნელ სიავკაცობით.
ტყვეს ყოველდღიურ ანათემით ვეღარ უვლიდა,
ყველა სხვა ხერხი არ გამოდგა, იყო ნაცნობი.
დაუფიქრებლად მიაპობდა ჭაობს გვემული.
უსიამაყოდ დარჩენილი წყალს ენაფოტა
და ვერ ხვდებოდა ფიქრებისგან დამძიმებული,
რომ ეს ნაკადი მიიყვანდა დიდ ეშაფოტთან.

... ოდესღაც ... დღეს

მე მიტაცებდა ოდესღაც, მაგრამ
დღეს მე მატყვევებს, რაც მიტაცებდა,
მე მაბრუებდა ოდესღაც მაგრამ
დღეს მე ის მათრობს, რაც მაბრუებდა.
მე მაღელვებდა ოდესღაც, მაგრამ
დღეს მე ის მიყვარს, რაც მაღელვებდა.
მე დღეს მაწვალებს ჯავრი უთქმელი
და ხვალ ის მომკლავს, რაც დღეს მაწვალებს!

ხალხურ მოტივებზე

ძნელია ფიქრისგან მალვა
მარტოობასა შინაო,
წუთი სოფელის ბატონად
ნეტა ვინ დაადგინაო?!

ვიკვირვე ამდენი ჭირი
ნეტავ რამ გაგვიჩინაო?
ვძებნე სათავე ჭირისა,
მან თავი არ იჩინაო.
არც უიმედოდ გამწირა,
არც ყველა შემარჩინაო.
დავჯექ და ფიქრი დავიწყე,
ფიქრმა სულ შემაშინაო,
რამდენი ჭაობი არი,
თურმე ამ გულსა შინაო.
რა თეთრად არი ნაგები,
რა შავად გაიბრწყინაო...
წუთი სოფელის ბატონად
ნეტავ ვინ დაადგინაო?!

***

გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა. . .
„ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“

თამუნა თოდუას

გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა,
ვამბობ თურმე, გამახსენდა გვიან,
იქ შორეულ მოგონების ბექობთან
იმ ბავშვობის აჩრდილები ზიან.
გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა,
ალბათ კვლავაც ლაღობდი შენებურად.
მე შევჩერდი იმ ბავშვობის ბექობთან,
სახეებს კი დროის ნისლი ებურა.
გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა,
დღეს გილოცავ უცნაურ ყვავილებით,
რაც დავკრიფე იმ ბავშვობის ბექობთან
იმავ წრფელი გულით ნასურვილები.
გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა,
ვამბობ თურმე, გამახსენდა გვიან,

შენს სულშიც თუ მოგონება მეფობდა
და ბავშვებიც თუ ისევ იქ ზიან?!
გუშინ თურმე დაბადების დღე გქონდა,
ვიმედოვნებ ჩაიარა კარგად;
ამ ერთი დღით გავიზარდე მეც ხომ და
რომ ვიზრდებით აი ეგ არ ვარგა!

ქალს, როგორც ასეთს

მე შენ დაგკოცნი ისე ნაზად ჩემო ლამაზო,
ვითარ ენძელა გაზაფხულის მზემ შეათრთოლოს,
ბაგევ სალალევ, ზურმუხტთვალა ვნებაალმასო,
ნატიფ ტერფს ფრთხილად შეგიმოსავს პალმები და ბზა.
სიტყვას არ ამბობ, მაგრამ გული შენი ტყვე არი,
სიტყვას ამბობ და მაშინ უკვე სულიც გემონვის,
ვინ ხარ? რად მტანჯავს მაგ თვალების მე ნატყვიარი,
ჰგავხარ ანგელოზს, მაგრამ შენში მაკრთობს დემონი.
ქედს დაგიდრეკავ, დღეს მიყვარხარ ვით ადამს ევა,
როს განგვეწონვის ჩვენ გულების თანაარსობა,
თან ეჭვი მაკრთობს სამოთხეში ვერავინ შევა;
ცოდვილ მიწაზე დამეუფობს სხვა სულფარსობა.
მაინც დაგკოცნი გამეტებით ჩემო ლამაზო,
დაუნდობელმან ხარის ჩლიქმან რტო გაგითელოს,
იქნებ შევცოდეთ, მაგრამ ახლა იმად ვკალმასობ,
რომ სულ სხვათათვის, სულ სხვათათვის ჩვენ
ვისანთელოთ.
. . . მე შენ დაგკოცნი ისე ნაზად ჩემო ლამაზო,
ვითარ ენძელა გაზაფხულის მზემ შეათრთოლოს

***

ის დღე რა დღეა
ლექსს რომ არ დაწერ,
რომ ვერ მოიცლი სიყვარულისთვის,
მოგონებათა ჭრელ-ჭრულ ფარდაგზე

თუ ვერ გაივლი
იმავ გულისთქმით,
რომელმაც ერთ დროს შენში იალა,
დაგწვა, დაგფერფლა და აღგადგინა
და დაგიტოვა სულში იარა,
როგორც ტიციანს სხვა კოლომბინა.
ახლა ღამეა,
გიჯობს არ დაწვე,
ვერ დაიძინებ, მაინც, ხომ იცი,
ის დღე რა დღეა
ლექსს რომ არ დაწერ,
სიყვარულისთვის რომ ვერ მოიცლი!

ლოთის წერილი

მსურს გაგიხსენო, ვეამბორები
ყვავილს ირიბად აჭრილ ღეროზე,
და ამ წადილსაც, როგორც ყოველთვის,
ალბათ მომიკლავს სხვა სირანოზი.
შენ ნუ იდარდებ (ვინძლო გახსოვდე),
იცი მე ახლა მთლად შევიცვალე,
ხომ გახსოვს მუდამდღე რომ ვმასხრობდი,
წლებმა მოზიდეს შორიდან ხვალე.
მე შენზე ფიქრი აღარ მამძიმებს,
რად მომაგონდი დღეს ეგ არ ვიცი,
ახლა თუ ვეტრფი ღვინის ბარძიმებს...
ჰო, ალბათ ღვინის ბრალია ეგეც.
უბრალოდ გული მატკინე ძლიერ,
რომ ვერ შეძელი ჩემი დანდობა,
დღეგრძელი იყავ მრავალჟამიერ;
მე თუ დამღუპავს – დარდიმანდობა.
შენ იქნებ ფიქრობ, რომ ახლაც კარგო,
რომ ახლაც, ახლაც არაა გვიან,
მაგრამ ეს გული ვეღარც თუ ვარგობს

და ან რა ვუყო ამ სულს ნაგვიანს.
ვიცი, ასეთსაც მიმიღებ, ვიცი,
და მერე ჩუმად იტირებ შენთვის,
იქნება კიდეც მომთხოვო ფიცი,
ფიცს მუდამ ფიცის გატეხვა ერთვის
და იმიტომაც, რომ კვლავ მიყვარხარ,
შენ შენთვის დარჩი, მე კიდევ ჩემთვის!

საღამო ერთად

ქ. მ. -ს

თავდადრეკილი ვარ ლექსითხურო,
თასში ბინდბუნდის ფერი სითხეა,
მე შენს თვალებში ლექსებს ვკითხულობ
ჯერ რომ არასდროს წამიკითხია.
არის აღვსება, არის სინაზე,
ვნება წამწამით ვერ იმალება
  და წუხილია მხოლოდ იმაზე,
  რომ წამს არ ძალუძს გამყინვარება.
  ნამცვარევ ბაგეს თითებით ვიგრძნობ,
  ყელზე იების გითბობ ნაკვალევს,
  გვავსებს სიამით ამ ღამის სიგრძე,
  გვავსებს და რაღაც წმინდას გვავალებს.
მბორგავ სისხლს ჩემსას შენს ძარღვში ვუშვებ,
სიალე ჟრჟოლად გულს ეუფლება,
გიკოცნი თვალებს – ცრემლიან ნუშებს,
მიყვარდე – მომეც ამის უფლება!

დავით ნატროშვილი

დაიბადა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში1935 წლის 1 იანვარს. ჰყავს ორი ვაჟი. შვილიშვილები. სპეციალობით - ელექტრიკოსი. „მთელი ჩემი ცხოვრება შრომაში გავლიე“ - ამბობს დავითი. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „მამულს არავის დავუთმობთ“(2014წ.)

წუთისოფელი

წუთისოფელი მარად უცვლელი,
ხან დედინაცვლობს, ხან გულს გვიხარებს.
ხან მერანივით ფოლქვით დაგვწიხლავს,
ხან მშობელივით გულს დაგვიამებს.
ასე გარბიან დღენი და წლები,
უფრო ვმშვიდდებით, უფრო ვმრავლდებით,
ჩვენი სურვილის გასამტკიცებლად
მშვიდობისათვის კვლავ ვირაზმებით.
ვიბრვით ერთობის დასამკვიდრებლად,
აწმყოში ძალას უფრო ვიკაჟებთ,
მომავალი რომ გვქონდეს ნათელი
უფლის შეწევნით კვლავ გავიმარჯვებთ.
შვილებს შევუქმნით კეთილ მომავალს,
გავაძლიერებთ, დავაფრთიანებთ,
მათთვის სიცოცხლეს არ დავიშურებთ,
ჩვენ საქართველოს გავამთლიანებთ.

გული კეთილი

თუ გაქვს გული კეთილი
და მოქცევა კაცური,
უფლის მცნება იწამე
იყავ ხალხის მსახური.
მშვიდობისთვის იბრძოლე
დააპურე მშიერი,
ყველგან თესე სიკეთე,
სულით იყავ ძლიერი.
შენი დარგული ნერგი
ტკბილ ნაყოფს გამოისხავს
ყველა შენ შეგიყვარებს,
შენს სახელს დაიფიცებს.

სექტემბერი

სექტემბრის თვე მოგვიბრანდა,
აწკრიალდა სკოლის ზარი,
აჩუხჩუხდა ცოდნის წყარო
ბავშვთა გულის გასახარი.
ახმაურდა სკოლის ეზო
და საამო დადგა დარი.
დღეს გაეცნენ დედა ენას
ალექსანდრე და თამარი.

დედაო ენავ

დედაო ენავ, ენის საუნჯევ,
ადამის მოდგმის წმინდა ლამპარო,
კაცობრიობის დამფუძნებელო,
მშვიდობის ენავ, ცამდე მართალო.
ძმობის ფერხულში შენით ჩავებით,

შენ გაგვინათე დღენი მზიანი,
შენით ვიპყრობდით მაღალ მწვერვალებს,
შენ იყავ ჩვენი თანაზიარი.
შენა ხარ ჩვენი გამნათებელი,
სიტყვა მართალი შენ გვათქმევინე,
ბრძოლის ველზე წინ შენ გვიძღვებოდი,
და გამარჯვენაც შენ გვაზეიმე.
სამშობლო ჩემი შენ შემაყვარე
და სიყვარული დედა ენისა,
შენითა ვსუნთქავთ, შენით ვარსებობთ
ენავ, დედაო ჩვენი ერისა!

ფრონტული წერილი დედას

მე აქ მფარველობს შენი ღიმილი
და გზას მინათებს დღისით თუ ღამით,
ოდეს მუსრს ვავლებ მომხდურ მტარვალებს,
წარბს არ შევიხრი არცერთი წამით.

მე შენი სისხლი მიჩქეფს ძარღვებში,
მწამს ალბათ, წესი მამაპაპური,
შენი ჯილაგის ვარ ნაშიერი,
სამშობლოსათვის ხმალაღმართული.

მე შენი ძუძუს ნათელი მმოსავს,
შენი მანდილის ღირსებას ვიცავ,
მკერდით დავიცავ მე ჩემს სამშობლოს,
ჩემს სიჭაბუკეს, ჩემს სინდისსს ვფიცავ.

მამხნევებს შენი ხელით პირჯვარი
აკვანთან ნაზად გადაწერილი,
დედავ ძვირფასო, არ დაიდარდო,
ნუგეშად გქონდეს ჩემი წერილი.

არ მივცემ ნებას მტერს გადამთიელს,
ქართული მიწა ფეხქვეშ გათელოს.
ზედ შევაკვდები სიცოცხლის ფასად
და არ შევარცხვენ ჩემს საქართველოს!

ქრისტე აღსდგა

ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად,
ქვეყნის მხსნელად მოგვევლინა,
ყველა ერის ჩამომავალთ
გაუთენა მშვიდი დილა.

ქრისტე აღსდგა, დაილოცოს
ქვეყნად მისი სამართალი,
გვერდზე ლოდის მოსროლითა
დაგვანახა თვისი ძალი.

ხალხის ნება, ხალხის რწმენა
ქრისტესათვის არის მყარი,
ქრისტიანულ სამყაროსთვის,
მშვიდობისთვის საწინდარი.

ვერვინ შეცვლის ქრისტეს მცნებას,
მის ქმედების ყველას გვჯერა,
მან თავისი სასწაულით
მშვიდი დილა გაგვითენა.

მრავალჟამიერი

საქართველოსთან შეზრდილი
ტკბილი მრავალჟამიერი,
ამ სიმღერამ განამტკიცა
უკვდავი ქართველი ერი.

ჭირში, ლხინში ერთად იდგნენ,
ქართლ-კახეთი-იმერეთი,
საქართველოს სადიდებლად
ქუხდა მრავალჟამიერი..

ბრძოლის ველზე ჟღერადობდა,
ლხინი გვახლდა მარადჟამსა,
სულში ჰქონდა ჩაფესვილი
გაუტეხელ ქართველ ხალხსა.

საქართველოს სადიდებლად,
თამარ მეფის სადიდებლად,
დავით მეფის სადიდებლად,
ქუხდა მრავალჟამიერი.

მრავლდებოდნენ, მტკიცდებოდნენ,
ეს ამერი და იმერი,
მკლავმაგარი ქართველები,
უძლეველი ჩვენი ერი.

ღმერთო ჩემო, გევედრები
გვიმრავლე ქართველი ერი,
გავიხაროთ, ვიდღეგრძელოთ,
სჭექდეს მრავალჟამიერი!!

***

ხის კენწეროში დედა ჩიტი აგებდა ბუდეს,
ნისკარტით ზელდა ტალახს და თივას,
შიგნით უგებდა თვის ბუმბულს ლბილად
რომ თვის ბარტყები ჰყოლოდა თბილად.

ლერი ნოზაძე

დაიბადა 1955 წლის 9 თებერვალს. 1972 წელს დაამთავრა ხაშურის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა აგრარულ უნივერსიტეტში, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „ეგრისში“, ეკონომიკისა და სამართლის ქართულ-ბრიტანულ და სხვა უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის („გორგასალის“) ასოცირებული პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს 60- ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 10 პოეტური კრებული. არის რედაქტორ-გამომცემელი პერიოდული ალმანახისა „ჩემი ჰობი პოეზიაა“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

***

ო, რამდენ ხარვეზს აღმომიჩენს ნათქვამს მსურველი...
(გადაცდომები კატალოგში არ ღირს, ეძიოს.)
ვით უმოწყალო მიამიტი, - სრულქმნას სულ ველი.
მამშვიდებს ფრაზა: - მე კიბო ვარ, შენ კი ვერძიო.
ბედს უნებურად მინდობილი ვალაგებ აზრებს -
მახარებს, - როგორ ავიცილე მიმწუხრის ცოდვა.
და ყოველ ... ღონეს ვხმარობ, ხმა მისწვდეს ზარზმელს,
ჭირვარამ ერთად გამოვლილი - ვწუხ, რომ ვერ მცნობს, და -
ვეძებ გარდათქმას, წარმოსადეგს მსგავს სიბეცეზე,
მაფხიზლებს შინა - განი -ეგო - არ უნდა დავთმო:
მოვირგო როლი მოპასუხის, - წამოვდგე ზეზე
და ... შეგონება გავაგრძელო, ბჭობა გავმართო...

თუმც, თქმადაც არ ღირს: ორჯერ ორი დღეს ყველამ იცის
და ისიც, - ყოფის განსავრცობად თუ რა სჯობია;
შედარებამდეც კი მივსულვარ ერთ ლექსში - ციცრის.
-ხანდახან მსგავსი სიტყვა-თქმანი არ საგმობია.

***

თავს დავაღწევ როცა მღვიმეს , - მეჭარბება სიმხნევე.
იშვიათად მნახავთ შინ მე, - ვცდილობ, - მაინც ილხენდნენ.
მივალ, ვითვლი ანგარიშებს. - ცოტა ხდება ... სამყოფი.
ვეჭიდები(დავაზუსტო) განცდას, - ბევრად დაყოფილს.
ვხედავ და ვგრნობ ღვთის წყალობას ყოველ ჩქამში,
ნაბიჯში.
რაღა აღარ „მემარჯვება“, არაფერიც არ მიჭირს!
ვცდილობ ჩავსწვდე, ავედევნო ყოველ ჯანსაღ ხასიათს
დარდი გადავასხვამდელო, ხმა არ გავცე ნავსიანს.
მასთან, ყური არც ვათხოვო ათას ბოროტ სინდრომებს,
მადლიერი უნდა დავრჩე, წყალობა რომ ვიდროვე...
ამდენ ამაყად მზირალთა მიზანს როგორ ავცდები!
ერთხანს კიდევ გაგახარებთ, - მერე ჩავიმარცვლები.
თქვენს ყოველ გაღიმებაზე მეჭარბება სიმხნევე.
ჩემი გულიც იქით იწევს, სადაც ლაღად ილხენენ.

***

დაჭრილ ხარივით ვბარბაცებ.
რად დაველოდო სასწაულს?
მოხერხებულად, წარმტაცად
დაუშავებლად გავლა მსურს.
ამ რამდენიმე წუთის წინ
ვერხვის მახლობლად მხედავდით.
ხელი მოვხვიე. წუხს ისიც.
ხელთა ყავს გაუხედნავი.
თუნდ ცეცხლი ენთოს გარშემო

ამინდს ეს რაღას უშველის!...
წმინდა ტაძარი ვაშენო
გამრჯე, ალალი მუშების
მარჯვენის - მქონდეს იმედი!
მზეს აქ შეფერის სხვა რითმა.
ხმას - მაღალს დავაპირებდი,
მაგრამ, ვაი, რომ გაღმით ვარ!
უნდა მივენდო ფიცარნაგს,
მიჯობდეს თქმა სხვა კილოზე.
შემფასებლებთან - ვინც არ ვარ -
რა ვიცი, ვინ წაიბოსებს!?
ან, რომ ვთქვათ უფრო მარტივად:
და მკითხველი არ დავღალოთ -
გულმა გულწრფელად მამხილა
ამ ქვეყნიური არ ხარო!

***

ახლა ქურციკსაც შეშურდება სიმარდე მისი,
უკვე დრო არის დედის კალთას დაემშვიდობოს.
მადლით სავსეა, არ ეღვრება წმინდა სასმისი,
აბა, თავს როგორ გაუყადრებს ამ ვნების მომგონს!?

ველურ ექსტაზით ერკინება სიზიფის ფიქრებს,
აგერ, ღრუბლებიც წამოადგნენ ყოველი მხრიდან,
ძალა მოეცათ, ცბიერებმა ცა განარისხეს,
სახე აენთოთ ავსულებს და ყველა ახირდა.

თანამდევ ცოდვებს არ ჰყვებიან ასეთი ხმებით,
საყვარელ შვილებს არ იხუტებს ასე არავინ,
სიყალბეს ისე მივეჩვიეთ, არ ვაკვირდებით,
მტვერში სათრევად ვთმობთ ღირსებას, ზოგსაც გვპარავენ.
და ხმის გამცემი, ხორციელი, არ ჩანს არავინ!

გიული სამუკაშვილი

დაიბადა 1937 წელს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1957 წელს გეგმიური გადმოსახლებით ჩამოვიდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში. აქვე შექმნა ოჯახი ზაურ გონაშვილთან. ჰყავს ორი შვილი: გონაშვილი ლელა - ექიმი და გონაშვილი ვაჟა - ინჟინერი. დღემდე ცხოვრობს სოფელ ჯაფარიძეში.

ვაი, თქვენს დედას

ჩემო სამშობლოვ, შეჭირვებულო,
ვინ მოგევლინოს მხსნელად და ბედად,
განთიადისას თვალებდათხრილნო
ახალგაზრდებო, ვაი, თქვენს დედას.
რამ ჩამორეცხოს ეგ შავი ლაქა,
ბოროტება და სულის წაწყმედა,
დემოკრატიის მირაჟის მსხვერპლნო
ახალგაზრდებო, ვაი, თქვენს დედას.
გმინავს მთაწმინდა, შავი ძაძებით
შეიმოსება ქართვლისა დედა,
ორპირი ბარით აჩეხილებო
ახალგაზრდებო, ვაი, თქვენს დედას.
თემურ ლენგი თუ შაჰი-აბასი
ცეცხლში და კვამლში ვინ არა გვხვევდა,
დღეს კი... დღეს თქვენმა დიდმა ძმამ გკაფათ,
ახალგაზრდებო, ვაი, თქვენს დედას.
ანგელოსივით ჩვენი ასულის
სისხლი ვინ ხვრიპა, რომელმა მოყმემ?
ბუჩქი გიამბობთ, გადალეწილი
იმ ავკაცობის უენო მოწმე.

უმანკო სისხლმა უღვთოდ დაღვრილმა
ყივილით შესძრა პლანეტა მთელი.
ცხენს გიკაზმავენ სულყველას, ვინც კი
მოურიდებლად პირში ხართ მთქმელი.
რწმენის დაკარგვის ბოლო აკორდი
რუსთველზე დაძრწის მშიერ მგელივით,
ავად იყმუვლებს და ხალხის გულში
მბჟუტავ იმედებს თიბავს ცელივით.
თქვენ არ ტყუოდით, ღმერთმა იცოდეს,
(ახალგაზრდობა ზოგჯერ კი ცდება)
თუ არ იცნობდით , თქვენს წითელ ღობეს
ახლა იცნობდეთ, ვაი, თქვენს დედას.

მადლობა

ეს ორი დიდი სიკეთე
ბუნებამ მომცა უცილოდ,
დამბადა საქართველოში,
არ გადამაგდო უწილოდ,
გამზარდა, დამალახვინა
მთა-ბარი ხავერდოვანი,
თვალებში ჩამახატვინა
ცა ლურჯი, ლაჟვარდოვანი.
სხვა კიდევ დიდი სალხენი
მან ჩემთვის გამოიმეტა
დამაზრდევინა შვილები
სამშობლოსათვის იმედად.
მასვა წყარონი ცივ-ცივი
სალი კლდის გულის ნაჯური
და გემოც გამასინჯვინა
კახეი ყურძნის ნაწური.
მაყურებინა მერცხლების
გადაფრენ-გადმოფრენასა,
ჩანჩქერის თავქვე დაშვებას,

არწივის მაღლა ფრენასა.
მომასმენინა ჰანგები
ბულბულის ვარდზე სტვენისა,
ენითა გამოუთქმელი
მომცემი აღმაფრენისა.
ამდენი სიამე მომცა
გადამფარავი წყენისა,
მადლობას ვუძღვნი ბუნებას
სხვა, შემძლები ვარ მე - რისა?!

დიდხანს გვყავდე

უწმინდესს და უნეტარეს ილია მეორეს

დაჰფოფინებს საქართველოს
შენი ფიქრი ნათელი,
მამულითვის იფერფლები
როგორც წმინდა სანთელი,
მძიმე ტვირთი სატარებლად
თვით უფალმა გიბოძა,
სამშობლოს რომ გაუმაგრო
ჭერიცა და ლიბოცა.
თერგის პირზე აქოჩრილი
გოგონები, ბიჭები
ამაყობენ იმ მიწაზე
შენი დანაბიჯებით,
მშვიდობის და სიყვარულის
პირუთვნელო ქადაგო
მუდამ ცდილობ აზრი სათნო
ყველას მიუსადაგო.
შენი სხივნათელი მზერა
სიბრძნის შხეფებს გვაპკურებს,
აბორგებულს ამშვიდებს და
სულიერად აპურებს,
უპოვარებს გულებს უთბობს

წრფელი გულის ხანძარით,
და მაღლდები ზეცისაკენ
ვით სამების ტაძარი.
ქრისტეს მცნებას მიუძღვენი
თავი შენი ზვარაკად,
საუკუნეებს ეყოფი
ლეგენდად და არაკად,
რაა სამოცდათხუთმეტი
თვალის დაფახულება,
წლებმა შეძლო მხოლოდ შენი
თმების გადახუნება.
გულისყურით და იმედით
შემოგყურებს შენი ერი,
დიდხანს გვყავდე ჯანით მრთელი,
მზგრძელი და ბედნიერი.

მთიბავები

ცელი მიწივის, ბალახის
კვნესა იქცევა ყვირილად.
დარჩება ღია თვალები
ყელგამოღადრულ გვირილას.
არვის აღელვებს - სამყურას
სული ხელიდან ეცლება.
გულს არვისა ტკენს დამფრთხალი
ლურჯი თვალების ცეცება.
ცელი მიწივის, მთიბავებს -
ჩარიგებულებს მხედრებად
რამდენი ტურფა ყვავილის
სიცოცხლე დაეყვედრებათ!

ჯუმბერ უთრუთაშვილი



დაიბადა ქიზიყის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში 1938 წლის 3 დეკემბერს.
გამოცემული აქვს ოთხი კრებული. მისი ლექსები შეტანილია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, კახეთის პოეტთა კრებულში „ირმების გადასახედი“. ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება. არის დამფუძნებელი დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 15 წელზე მეტ ხანს. მისი დიდი ძალისხმევით გამოიცა დედოფლისწყაროელ მწერალთა შემოქმედების სამი ტომი. მოეწყო მრავალი იუბილე და პოეტური შეხვედრა რესპუბლიკისა და რაიონის მწერლებთან.

გენატრებოდა ხან ლუკმა-პური

გენატრებოდა ხან ლუკმა-პური,
ჭიქა არაყიც ხშირად არ გქონა,
მაგრამ ეგ შენი მშფოთვარე გული
ოცნებით მეცხრე ცაზე დაჰქროდა.
არა გხიბლავდა ოქრო და ვერცხლი,
სხვისიც არ გშურდა ფული, ქონება,
რადგანაც ხატვის ჟინი და ცეცხლი
წვავდა მარადის შენს გულს, გონებას.
კიბისქვეშ ჰპოვე თავშესაფარი,
ცხოვრების კიბის ბოლოში მდგარო,
ეგ ჯადოსნური ფუნჯი სად არი,
ხატვით, სიცოცხლით გაუმაძღარო?

დიდების მძებნი ბევრი დამიწდა
და კიდევ მრავალს გაუვა ყავლი,
მაგრამ შენს სახელს, მზესაც რომ მისწვდა,
არ მოედება ჟამთასვლის ნაკლი.

***

შენი რძის სუნი მეცა მდის,
ჯერ კიდევ ბალღმა რომ ვწოვე,
ამაღლებულო ზეცამდის
შენი სადარი ვერ ვპოვე.

არასდროს გაუნელდება
ქართველ კაცს შენი ტრფიალი.
მზე თვითონ დაუბნელდება
ავად ვინც გიმზერს ტიალი.

იმედით გვავსებს ქართველებს
შენი გზა და სვლა ღვთიური,
ჭირს და ჭრილობებს ამრთელებს
სული ქართული, მზიური.

ბევრჯერ დაგწვეს და დაგნაცრეს,
მტრის ჯიბრზე მაინც დგებოდი,
ღვთის სიყვარულით რომ აგცრეს
იმიტომ არა კვდებოდი.

თბილისო, გული გაქვს თბილი
შენი ნათლიის ჭირიმე,
მოყვრისთვის მარად ხარ ტკბილი,
მტრისათვის სჭედავ ხირიმებს.

მარადისობის თანამედროვე

გალაკტიონ ტაბიძეს

სულ სხვაა შენი სივრცე, სიმაღლე,
ვერ გაგიტოლა ვერავინ თავი,
„ლურჯა ცხენების“ სრბოლა-სილაღეს
ვერ შეაჩერებს დრო-ჟამი ავი.

ტკბილი, ღვთიური ხმით და სიმებით
ლექსები ისე მოავარაყე,
ვერ აფერმკრთალებს ცივი წვიმები,
ვერც ულმობელი დრო ვერ ალაყებს.

ბევრს გაახუნებს ჟამთასვლის ლიბრი,
დაიჩრდილება ბევრი მედროვე,
შენ კი მზე მზერას დაგიწყებს ჯიბრით,
მარადისობის თანამედროვეს.

ვერას დაგაკლებს დუშმანი

კახეთო, შენი მთა-ბარი
სისხლ-ცრემლით გაჟღენთილია,
ამიტომ დედის რძესავთ
მადლიანი და ტკბილია.

როგორც სტრიქონი სტრიქონებს
მისდევს ვენახი ვენახებს,
შე მართლა „დევის მარანო“
მუდამ ამაყი გვენახე.

უბრალო მიწა კი არა,
უფლის საუფლო ბაღია ,-
მტრისთვის პირქუში, მრისხანე,
მოძმისთვის მუდამ კარღია.

ვინც კი იხმია, იგემა
პური და ღვინო კახური,
ის გახდა ქვეყნის შემქმნელის
და სიყვარულის მსახური.

ლხინში და ომში უბადლო,
ქვეყნის ფარო და მახვილო,
შენს დიდებაზე ღაღადებს
გრემი, იყალთო, არხილო.

სულს და გულს ესალბუნება
შენი „წინწყარო“ , „ჩაკრულო“,
სიფხიზლე არ მოადუნო,
მტერი ცრუობს და მზაკვრულობს.

ვერას დაგაკლებს დუშმანი
ვერც ეშმა-ავი სულები,
გლოცავენ შენი შვილები,
შენს გულ-მკერდს შეწირულები.

მეუღლეს

ბედმა გარგუნა უფულო ქმარი,
იქნება გული ძალიან დაგწყდა,
შენი ღირსება სწორედ ის არის,
რომ სამდურავი ერთხელ არ დაგცდა.

უღელიც ისე ერთგულად სწიე
რომ არ დაუდე ქმარს წამით ტოლი,
ბედნიერებას თუმც ვერ ეწიე,
მაგრამ ხარ ნაღდი მეუღლე, ცოლი.

ეშმამ მოგიწყო დიდი გამოცდა,
 სიავეს მაინც არ დაემონე,
მადლობა შენდა ამის გამოც და -
უფლის მცნებები რომ გაიგონე,

თურმე რამხელა გული გქონია,
გავიგე შვილის სიკვდილის შემდეგ,
მხოლოდ ზღაპრად თუ გამიგონია,
შენ იმ სიმაღლე კვარცხლბეკზე შესდექ!

****

ტკბილი ხარ, როგორც ოცნება,
როგორც ბალღისთვის დედის რძე,
შენ რომ გიცქერი, სიღნაღო,
თითქოს ჩემს სულში შედის მზე.

მეც შენი ძუძუ მოვწოვე
და გული გამიქვიტკირე,
შენი დარდით და წუხილით
ბევრჯერ უცრელმოდ ვიტირე.

შვილთა სიმტკიცით დიდგულობ,
იმათი სიბრძნით დიადობ,
ქიზიყის თვალ-მარგალიტო
ჭირშიც უდრეკო, ზვიადო.

ტანზე გიხდება ქამარი
ნაგები ქვიტკირისანი,
კისერზე გადევს კვლავ ვალი, -
დედა ატირო მტრისანი.

ერთხელ ვინც გნახავს, ისევე
შენი ალერსი უნდება,

ყველა ლამაზი ზღაპარი
შენი მშვენებით ხუნდება.

ქიზიყისადმი
იყავ სამშობლოს ფარი ფოლადის,
დუშმანის რისხვა, ჭირში უდრეკი,
ბევრჯერ იწვოდი, ცეცხლში ბოლავდი
და სისხლსა გწოვდა მტერი მუდრეგი.

ხელიდან ხმალი არ გაგიშვია,
ვენახს რომ სხლავდი, თითქმის მაშინაც,
ლომგული ძენი მარად გიშვია,
მტერმა ვერასდროს ვერ შეგაშინა.

გაგამედგარა მუდმივმა ბრძოლამ,
ზურგში ისარი არ მოგხვედრია,
არ იცი ომში შიში და ძრწოლა,
გმირობა მარად შენი ხვედრია.

ტარიბანა თუ შირაქის მიწა
შენი გმირული სისხლით მორწყულა,
კამბეჩოვანი ბევრჯერ დაიწვა,
მაგრამ არასდროსარ დაცემულა.

როგორ თქვას ენამ აუგი შენი,
ხარ საქართელოს ბასრი მახვილი,
ეს სიჯიუტე იმიტომ გშვენის
რომ ვერვინ გნახა შენ ქედდახრილი.

ნატო ყატაშვილი-აფაქიძე

დაიბადა 1975 წლის 17 აპრილს, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. 1992 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა; 1997 წელს - შალვა ნუცუბიძის სახელობის უნივერსიტეტი „რიტორიკა“, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

სკოლის ასაკიდან იბეჭდებოდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. არის რამდენიმე ალმანახის, კრებულის რედაქტორ-გამომცემელი. აქვს საკუთარი ლექსების კრებული „მზე ზღვის გადაღმა“. ამჟამად არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანება „ფიროსმანის“ თავმჯდომარე. ჰყავს ქალიშვილი მარიამი და სიძე გიორგი.

საყვარელ წიგნის გმირებს

ჩვენ ოცნების სამყაროში ვცხოვრობდით...
დღეს კი გული მარტოობით ატირდა.
დამიბრუნდი , ჟიულიონ სორელ,
მე ვიქნები მშვენიერი მატილდა.

ქარიშხალი დათარეშობს გემბანზე,
ჰომო ყმუის, ცრემლიანი დღეა,
შენ თუ ვეღარ დაბრუნდები, გუინპლენ,
მე ზეცაში გამოგყვები, დეა.

მონტეგთა და კაპულეტთა მტრობას
ვივიწყებდი, როს გხედავდი-ხოლმეო.
ჯულიეტა, როცა შხამსაც დავლევ,
შენ ხომ ხელზე დამაკვდები, რომეო.

ხომ დალაშქრავ აუღებელ ციხეს,
როცა ავი გულს დამასობს ნესტარს,
ხომ გახდები ჩემთვის ტარიელი,
როცა შველა დამჭირდება ნესტანს.

არ გამოვა, ვერ გაუგო ცხოვრებას,
შავი კაბა თეთრი ძაფით კემსო...
ხომ გაწირავ თავს მარტოდენ იმისთვის,
რომ გიორგი დაგიტიროს კესომ.

მთვარეს თვითონ გამოვტაცებ ენგურს,
შენი ტრფობა რომ არ იყოს თამაში.
მე ჩავიცმევ შერვაშიძის კაბას,
შენ თუ გახდი ემხვარიანთ თარაში .

ხელთუქმნელი ამიშენე ტაძარი,
ფხოვით მერცხლის მომახარე მოფრენა.
თავთუხისფერს ჩამოვიშლი დალალებს,
უტას ისე დაგიტირებ, შორენა.

როცა გველი გამოიცვლის პერანგს,
ცისარტყელა აინთება ათასი.
სამშობლოში დაგაბრუნებ, არჩიბალდ,
საირმეში დაგიხვდები მატასი.

აპრილის მზე მეფერება თმებზე,
მე კი ისევ შენს სიყვარულს მოველი.
ხომ გახდები ჩემთვის გაზაფხულის
ცისარტყელა, სიყვარულის მთოველი.

****

ჩუმად გავცქერ თოვლზე პირველ ნაკვალევს,
ნეკერჩხლებმა გააჩაღეს ზმორება.
და გათოშილ ხელებს, თვალებს, ბაგეებს
შენს მაგივრად თოვლი ეამბორება.

შენს მაგიერ ფიფქი მოჰყვა ბილიკებს,
სიმარტოვემ სულში ისევ დათოვა.
შენ ჩემს გულში მხოლოდ ერთ წუთს შეჩერდი,
გამეღვიძა... და ისევე მარტო ვარ.

ჰო, და ვეძებ თოვლზე შენს ნაფეხურებს,
როს შემოსეს ნეკერჩხლები ფიფქებმა.
„ჩქარა, თორემ ვერ გავუძლებ ამ თოვას,
მოდი, თორემ მერე გვიან იქნება...“

***

ყვავილებს მოვთხოვ სინაზეს,
სულის სიწმინდეს - წვიმას.
ნიავქარს „ჩურჩულს“ მოვპარავ,
ღიმილს წავართმევ მცინარს.

მწყემსს სალამურის ჰანგებს და
პოეტს მუზას და რითმას
მოვტაცებ, არ ვათქმევინებ
იმას, რაც უნდა ითქვას.

კარგს ამავ გულში ჩავიწნავ,
ავს წყალს გავატან მდინარს.
მერე ვისიც კი გავხდები
ვაი, ნეტავი იმას.

გაყიდული თაობა

ჩვენ ვართ თაობა
ნაჭერ-ნაჭერ გაყიდული საქართველოსი.
ჩვენ ვართ თაობა
„მუმლდახვეულ“, ტოტებშემხმარ, ბებერი მუხის.
და ჩვენს თაობას
იმედი გვაქვს მხოლოდ ღვთის და ანგელოზის.
ჩვენ ხომ დაგვახვედრეს
უდიდესი წარსული და აწყო რუხი.
ჩვენ დაგვევალა რთული მისია
ამ ქაოსს უნდა „ამოვდოთ ლაგამი“.
ჩვენ „დაკარგული თაობა“ აღარ ვართ.
ძველ ყლოტრზე ამოსული ყლორტი ვართ მაგარი.

კოცნა

მე შენ კოცნაზე უარი გითხარ...
ეს მოგონება დღეს ნაღველს ბადებს.
მხოლოდ ხელებზე გინდოდა კოცნა,
მე შევიცხადე...

ახლა, როდესაც მარტო ვარ სრულად
და ღამე დნება სარკმელის იქით,
შენი ამბორი მომინდა უცებ -
ახლა მე გიცდი...

დრო გადის და ჩვენ გვიანა ვხვდებით
რაღაცის გამო სიყვარულს ვკარგავთ.
მე ყველაფერზე უარი გითხარ,
მაგრამ მიყვარხარ...



ვაჟა ყოჩიაშვილი

დაიბადა 1993 წლის 5 მაისს დედოფლისწყაროში. 2011 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა და სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი. 2012 წლიდან არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი. არის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომელი.

***

ნაწვიმარ ქუჩებს შენი თბილი სუნთქვა ეტყობა,
აქ ზამთარშიც კი გაზაფხულის სუნი ტრიალებს.
ჩემს სათქმელ სიტყვებს ალბათ ისევ ქარი გეტყოდა,
ჩვენ რახანია ვეღარ ვგუობთ ადამიანებს.
ჩვენ რახანია აღარ გვესმის რა საჭიროა,
როცა მავანი გალუმპულებს გვითვლის ნაბიჯებს.
წვიმაში ქოლგა რათქმაუნდა სასაცილოა,
ჩვენ ხომ ისედაც გადარეულ ფიქრებს ვაგიჟებთ.
ქუჩაში ჯერაც არმოსული თოვლი იგრძნობა,
ჩანს შემოდგომის აკორდები მაჟორს კარგავენ.
მინდა მხრებიდან შემოდგომა გადავიძრო და
სანამ ქარები ბოლო ფოთლებს გადაკარგავენ
მსურს თოვლისფერი დეკემბერი მხრებზე მოვისხა
და შენი სუნთქვის გახშირება ზამთარს მივანდო.
არ მეჩემება თოვლი ვარდის ყვავილობისას
და მეშინია გაზაფხული გადაგვივადონ.

წვიმები გღლიან და წარსულის ქრება პიესა,
მოგენატრება ცივ ფანჯრებთან ცხელი ჩაის სმა.
მყუდრო ოთახში უჩემობა შეგაციებს და
გარეთ გასული ჩემს ეჭვიან მზერას ჩაიცვამ.
უშენო თოვლი მომანატრებს ყველა იმ წამებს,
როცა კისერთან შენს არეულ სუნთქვას ვისმენდი.
მახსოვს დეკემბრის პირველივე ღამეს გიწამე
და იმის მერე ყოველ ღამით გათილისმებდი.
დღეს შემოდგომას გადამწყვეტი ბრძოლა მოელის,
ჩანს ამინდებმაც გადაწყვიტეს უკვე გარისკვა.
მსურს მოვიშორო ეს უშენო საღამოები
და შენზე ფიქრი ამ ნაწვიმარ ტანზე ჩავიცვა.
***
მიდიან წლები და იზრდები მანამ სანამ შენ,
ცდილობ როგორმე არეული ყოფა გარითმო.
ყველა სიტყვაში წარმოიდგენ თვალწინ მამაშენს,
მის ყველა ნაბიჯს დაიჩემებ სამაგალითოდ.
უცნაურია გოგოსაგან ამის მოსმენა,
ასეთ თემებზე როგორც წესი ფიქრობს არავინ.
რა აზრი ჰქონდა მაგ უნაკლო მანდილოსნებას,
თუ ვაჟკაცობას კაცებისგან მოიპარავდი.
და მეფიქრება ყველა სტრიქონს ღიმილს მიატან,
როგორც ყოველთვის სათქმელს ვიწყებ ისევ ბოლოდან.
მე მართლა მჯერა მამაშენმა ბევრჯერ ინატრა,
რომ შენნაირი ფიქრის მქონე გოგო ჰყოლოდა.
***
ქარია გარეთ, ვგრძნობ რომ ისევ უნდა მოთოვოს,
ეს ხომ ჩვეული მონატრების არის საწყისი.
ვცდილობ თვალებმა ერთი ფიფქიც არ გამოტოვოს
და არ დაგკარგო როგორც კოლხმა ოქროს საწმისი.
რომ არ მომტაცონ შენი თავი როგორც მედეა,
როგორც ასული, მოპარული საქართველოდან.
ეს თოვლიც ალბათ მაშინდელი ჩვენი ბედია,
რომელიც ალბათ ისევ იქ დგას სადაც გველოდა,

როცა პირველად გავიპარეთ სკოლიდან ერთად
და თავს მივეცით პირობა და ტრფობის უფლება,
როცა ვუსმენდით ერთმანეთის გულების ფეთქვას
და ყველა გრძნობას მივანიჭეთ თავისუფლება.
რადგან ბავშვურად ამ სიყვარულს ერქვა ოცნება
და შენც ბავშვური მომეტებით გწყინდა, ბრაზობდი,
როცა სიწითლე აჩნდებოდა ლოყებს კოცნებად,
როცა ვცელქობდი ყმაწვილური ოინბაზობით.
მახსოვს თვალებში გეტეოდა მთელი სამყარო,
როცა გავიგეთ ბედისწერას როგორ ენება,
რომ ეს ოცნება ყოფილიყო მხოლოდ საპყარი
და ჩვენ ერთმანეთს შევრჩენოდით მოგონებებად.
ასეა, ალბათ მორიგ ზამთარს შევხვდები მარტო,
ბედმა ინება, ან ინება თვითონ განგებამ.
ძველი ოცნება მონატრებულ ფიქრებად მათოვს
და ცხელ ტუჩებზე შენეული გრძნობით მადნება.
* * *
უშენო წუთებს შენეული ფიქრი აწამებს,
მხოლოდ ფიქრია უშენობას რომ ვერ ეჩვევა.
ახლა დღეებიც შენს უძირო თვალებს ბაძავენ
და ათას მიზეზს მიტოვებენ დასაეჭვებლად.
დღეს ამინდებმა უღალატეს უკვე ნოემბერს,
ალბათ მერცხლებმაც აიბარგეს ჩვენი სოფლიდან.
მერე მიხვდები, გაიაზრებ, როცა გტოვებენ,
რაოდენ მცირე ალერსი და სითბო გყოფნიდა.
წარსულის სევდას დაიტევენ ალბათ თვალები,
ვერც სიამაყე ვეღარ შეძლებს ცრემლი დამალო.
უჩემო ზამთარს ხვდები ვერსად დაემალები,
ძნელია მსგავსი მომენტები დაასამარო.
საკუთარ თავთან წამკიდებენ შენზე ფიქრები,
გამიჭირდება შენს თვალებში მტრების მიგნება.
ომში, რომელშიც თვითვეული მარტო ვიქნებით,
ალბათ ფიასკოც გამარჯვების ფასი იქნება.

წვიმაში მარტო სეირნობას გადავეჩვევი
და ქალის სურნელს შენს მაგივრად ქარი მომიტანს.
არ დაიჯერო, დამტანჯავენ შენზე ეჭვები,
რადგან არ გავხარ შენ ქალებში ბოლო მოჰიკანს.
და მაინც თითქოს უშენო დღე კვლვაც მშვიდია
მეც შემოდგომის სხივდაფენილ ქუჩებს მივყვები.
ეს ლექსიც ალბათ იმ დღეების პანაშვიდია
და არ გეგონოს შენ უბრალოდ თბილი სიტყვები.
უშენო წუთებს შენეული ფიქრი აწამებს,
მხოლოდ ფიქრია უშენობას რომ ვერ ეჩვევა.
ახლა დღეებიც შენს უძირო თვალებს ბაძავენ
და ათას მიზეზს მიტოვებენ დასაეჭვებლად.
***
შენ თვალებიდან გაზაფხულს აფრქვევ
და გაზაფხული გაფრქვევს თვალებით.
ჩვენ ერთმანეთით დავთვრებით აქვე
უკვე ისედაც ლექსით მთვრალები.
შენ ენძელებმა მოგცეს სურნელი
და გვირილებმა ფერი გაჩუქეს.
სენი ხარ, სენი განუკურნელი,
ქრონიკულად რომ სდევს სიჭაბუკეს.
წმინდა ხარ ჩემთვის როგორც ზედაშე,
ფიქრსაც მაკითხებ ცრემლის ტიტრებით
და სიყვარულში კარგო მე და შენ,
ღამით ვარსკვლავებს გავეჯიბრებით.
და ერთადერთო გეტყვი მეტადრე,
რომ მაყრებივით დგანან გორები,
მე ცხადში კოცნას როგორ შეგკადრებ,
მხოლოდ სიზმარში გეამბორები.
შენ თვალებიდან გაზაფხულს აფრქვევ
და გაზაფხული გაფრქვევს თვალებით.
ჩვენ ერთმანეთით დავთვრებით აქვე
უკვე ისედაც ლექსით მთვრალები.

ირმა შიოლაშვილი

დაიბადა 1974 წელს დედოფლისწყაროში. ლექსებს წერს და აქვეყნებს ადრეული ასაკიდან. არის 6 პოეტური კრებულის ავტორი. 1993-1998 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ არხზე მიჰყავდა გადაცემები თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, 2002-2004 წლებში იყო დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონის“ სპეციალური კორესპონდენტი გერმანიაში. 1999 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში და ქ. ბონის რეგიონალური რადიოს ეთერში უძღვება გადაცემებს საქართველოზე. ეწევა ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“. მისი ლექსები შესულია არაერთ გერმანულენოვან ანთოლოგიაში და თანამედროვე გერმანულ ლიტერატურულ გამოცემებში. ლექსები თარგმნილი და წიგნად გამოცემულია ასევე რუსულ და გერმანულ ენებზე. 2007 წლიდან არის ევროპელ ავტორთა გაერთიანება „ Die Kogge“-ს წევრი..

ჩანახატი

“იტყვიან-საცერში ფქვილივით არჩევდა ქატოსგან სტრიქონებს”

კატო ჯავახიშვილი

სურვილი თუ გაქვს, გადაფურცლე ჩემი დღიური,
იქ წერენ წლები, “დაირღვაო ჭრელი განედი”,
იქ მზის მხურვალე თითებია ჩასაფრებული
და საიდუმლო, რითაც ალბათ გაიხარებდა

ყველა ავდარი, რომ სცოდნოდა, რატომ მიდიან
მიწის გულიდან ცის გულისკენ, რატომ დარდობენ
ყველა საღამოს, ყველა სიზმარს,- ჭრელს და ბინდიანს,
რატომ კოცნიან ქალის თითებს-გრძელს და სანდოებს-
როცა უნდათ რომ მიატოვონ,- უთხრან "წავედი"
მაგრამ ქატოდან ვერ არჩევენ მარცვალს სადავოს,
იშლება სულში ჩაკირული ჭრელი განედი
და წვიმა დასდის ქალის სევდას-ღრმას და გადამდებს.

***

ბალღობასავით ტკბილი იყო ის წერილები,
ბალღობასავით ნათელი და ყველაფრის მცოდნე,
მე შემიძლია წარსულიდან გამოგიწოდო
(შენი ძველი „მე" დღემდე ისეც ძაღლივით მომდევს),
მე შემიძლია შენი გული არ დავანებო
ცხოვრების თამაშს და უბრალო, ნათელი ფიცით
გადაგარჩინო, დაგიბრუნო, ხელი ჩაგკიდო_
შეგახსენო რომ ერთმანეთი ზეპირად ვიცით
და ერთმანეთით მეგობრობის ტვირთებს ვამართლებთ,
და გვიყვარს ხელი, ხანდახან რომ ღამეს მირითმავს,
და ჩვენი სიტყვის დიდი კოშკი, _სადაც ბარათებს
ვიფენთ ხალიჩად და ხანდახან ჩაის მივირთმევთ.

წინაპარი

ჩემი დიდი წინაპარი- პაპაჩემის პაპის პაპა-
რომელიც მთაში ცხოვრობდა და იყო პოეტი,
მითვალთვალებს წინა საუკუნეებიდან.
არ ვიცნობდი, მაგრამ ვმეგობრობთ.
ეს მისი სიმღერაა, რომელსაც
მიღმიერი სამყაროდან ვხრიალებ,

ეს მისი სიტყვებია, რომლისგანაც
თითები მაქვს დალურჯებული.
ამარჩია და ჩემში მჟღავნდება.
მისი ბრალია, რომ ასე სანახევროდ ვცხოვრობ,
და როცა მძინავს, ღია თვალებით ვებრძვი ღამეებს.
მისი ბრალია ჩემი აღტაცება ქვებისადმი, კლდეებისადმი.
მან დამიწესა, მყვარებოდა კლდესავით კაცი-
მდუმარე და ძლიერი და სიცხის ამტანი.
დიდი ხნის წინ გაურიგდა ღმერთს, რომ ჩემით
თავის მთა და თავის სიტყვა გადაერჩინა.
ჰოდა ახლა ლაღად დადის ჩემს სისხლში და
სიტყვისგან დალურჯებულ თითებზე
შიგნიდან მიკაკუნებს.

ირონია

არადა ისეთი უშნოა ეს ცხვრებით დასახლებული სამოთხე
აღარ ვიცი რა მოვუხერხო ჩემს მხედველობას.
დადიან ცხვრები, დუმილს და სუნს ერთმანეთში ურევენ
და ხანდახან ერთმანეთიც ერთმანეთში ერევათ.
მე კი რა ვქნა, როცა გაზრდილი შემოვედი ამ ფარაში,
ვლაპარაკობ, მაგრამ ვის რას გავაგებინებ.
გამარჯობათ ცხვრებო.
არც კი იცით, რომ შესაძლებელია გასცუროთ მდინარე
და ყველა ჭუჭყი მდინარეს გაატანოთ,
და ყველა სირცხვილი მდინარეს გაატანოთ
და ყველა უსიტყვობა მდინარეს გაატანოთ.
ისეთი მიმტევებელია მდინარე!
გამარჯობათ ცხვრებო,
სანამ თქვენ ძოვდით,
მე ვისწავლე დუმილის დამარცხება,
მე ვისწავლე შიმშილის დამარცხება,
მე ვისწავლე სიამის დამარცხებაც
და ახლა, როცა გარედან გიყურებთ,

როცა ფარაში მდგომი მაინც გარედან გიყურებთ
შეგიძლიათ ბალახივით ღეჭოთ ჩემი ირონია.

თავდაყირა

მზად ვარ გადავაბრუნო სამყარო,
ისედაც ჩემი საქმეა ყველაფრის თავდაყირა დაყენება,
გაგიკვირდეს- გაკვირვება შენი საქმე იყოს.
აი ჩემი უღალატო ხელისგულები
მოლაპარაკე კანითა და დაგრეხილი მკვეთრი ხაზებით
ყველა დეტალზე დაწვრილებით მოგიყვებიან.
(ხელისგულებს ყველაფერი ზეპირად ახსოვთ).

მე კი განა არ ვიცი რომ მთავარია სწორად მიყვარდეს,
მთავარია სიყვარული ხელისგულებს გავუნაწილო,
როგოც დიდი ოჯახური მემკვიდრეობა
და არასდროს ამიკანკალდეს მხრები,
როცა შენ დაგინახავ!
და არასოდეს წამომცდეს ზედმეტი,
როცა შენ დაგინახავ!
და არასოდეს შევიჭუჭკო დუმილში_
როცა ხელისგულებს გამოგიწვდი!
და არასოდეს დამეტყოს შიში,
როცა ამ ხელისგულებით სამყაროს გადავაბრუნებ!

ღია გაკვეთილები

არადა ცეცხლის სუნი ჰქონდა მაშინ ყველაფერს,
თვალებსაც, ხელზე ნაოჭებსაც, გზებსაც, ჩრდილებსაც,
თუმცა ვამჩნევდი მომავლიდან როგორ მზვერავდნენ
ცხოვრების გრძელი, ხშირად ღია გაკვეთილები,
მომწონდა ცეცხლი, და ამიტომ ხელის კანკალით
ვიწვავდი ხელებს და ნაოჭებს ხელისგულებზე

სულს ვუბერავდი და ვეძებდი ჩვენს ღრმა ნაკვალევს
თითებზე, გულზე, ნაოჭებზე, თვალის გუგებში.
აცრილი იყო მომავალი ცეცხლის ალებით
მზეს ვინახავდი პერანგებზე, გულის ღილებზე
და არ ვამხელდი, რომ ფეხები მიკანკალებდა
ცხოვრების ღია, დაუნდობელ გაკვეთილებზე.

ქვის ნატეხი

დიდი გმირობაა, - გულმა შეგინახოს,
როგორც მთაში ნისლები ინახავენ ქვის ნატეხს,
გაახვევენ თავიანთ ლაბადაში და ავ თვალს არ აჩვენებენ.
ზუსტად ასე მინდა, გულში გახვეული გადარჩე.
დიდი გმირობაა, გერქვას ჩემი უკანსკნელი სიყვარული, _
ნაღმი ჩემს გულში -
ქვის ნატეხში შენახული ნაღმი,
შენახული გულტიალას ნისლიანებში.
დიდი გმირობაა,
თუ დამიგორდები გულის მთიდან, არაფერი შევიმჩნიო,
მწყემსივით ვიდგე და მწყემსივით გადევნო თვალი,
რომ, უნებურად, უფსკრულისკენ არ გადაგორდე,
და ასე, გულში ჩაბრუნებული მზერით,
უფრო სწორედ, მზერაზე გამობმული საცეცებით ვცადო
სისხლის გავლით, ძარღვების გავლით
დაგაბრუნო გულის მთაზე
და ხელახლა გაგახვიო ნისლის ნაბადში.

მარინე ცხვედიაშვილი

დაიბადა 1960 წლის 2 იანვარს დედოფლის წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა არბოშიკის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1982 წელს და იმავე წელს სწავლა განაგრძო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1983 წლიდან ლექციებს კითხულობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2004 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე. არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, სამი პოეტური კრებულის ავტორი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. მინიჭებული აქვს ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძის და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები. არის მრავალი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. დაოჯახებულია-მეუღლე ჯემალ კუხალაშვილი-მხატვარი, სახელმწიფო პრემიის და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

რეკვიემი

აკი გითხარი, ხვალ წითელი პარასკევია,
მიწასაც არვინ შეატოკებს შენთვის, ნიკალა,
მოგონებები სვავებივით დაგაცხრებიან,
სიყვარულივით ტკივილსაც ხომ ვერ აგიკრძალავ.
იზედმეტაო მარგომა და მარგოს პარიზმაც,
ხაზინის გველი დაგედევნა ქალის ვუალით,
სად იყო მაშინ ეგ თილისმა ან ეგ ქარიზმა,

შინისკენ ურმით რომ მოგქონდა დიდი უარი.
გიბადაგებენ, ჯვარცმულ დღეებს გიბადაგებენ,
ახლა ღიაა დარბაზები, _ „აქეთ, მაესტრო“, _
და სანამ მიწას უნიშნობლად მიგაბარებენ,
იქნებ ინებო და შენს სიკვდილს აღარ დაესწრო.
ხომ დაიხსომე, ხვალ წითელი პარასკევია,
არ გაუყადრო დუქან-დუქან თავი მიკიტანს,
მეთულუხნენი მტკვარს პეშვებით გადაწვდებიან
და ხელუხლები დილა ღმერთთან ამბავს მიგიტანს.
ამქრის წუღებში ფეხგაყრილი შენი ქალაქი
ვნებიან ღამის მძიმე სამოსს შეიშილიფებს
და შემოგისევს ნაირ-ნაირ ფერად თბილისებს.
იმ მრავალთაგან ერთი მაინც ფლიდი იქნება,
ერთი გამცემი, ერთიც კიდევ ნუკრისთვალება;
შენ ვის ნაპირთან მიგასილეს ზურგის ქარებმა?!
მითხარი, თორემ დამეკარგა სიტყვის მაზანდა,
საზანდარს მეტი რაღა უნდა, დასტის დოსტები...
და მერე ჩემს სულს, როგორც მწვერვალს, ისე მოსკდები.
არ დაანარცხოთ, მეგობრებო, ჩვენებურია,
გული დაუგეთ, გევედრებით, გული დაუგეთ!
ნუ დაანებებთ უთენარო ღამის დარაჯებს,
თორემ ცხოვრება გულის გულზე გადაალაჯებს.
შენი გოლგოთა, ო, რა ძნელი დასაძლევია,
ადე, ნიკალავ, ხვალ წითელი პარასკევია!
ნეტავ რომელ ძელს მიესჯება შენი სხეული,
უფრო ეული, ვიდრე ყველა მჭლე და ბოგანო.
როგორ მოგაგნო, უსაშველო სულის საშველო,
ასე ჩემიანს, იდუმალს და მაინც შორებელს.
თენდება, მაგრამ არა შენთვის, არა საშენოდ,
მზეს კახელები ტიკებივით მოაგორებენ,
ნაქურდალ მთვარეს ბოლო უჩანს მამლის კუდივით;
კვამლი ამოსდის არემარეს, როგორც ყალიონს,
ზეცა გადაწვეს მოთარეშე ცეცხლის ენებით,

რა ბალამწარა ჩააცეცხლეს ნეტავ ალიონს,
ვინ დაამწყრალა ამ საცოდავს მადლი თენების.
- არც არავინა, დილას ფეხი თვითონ წამოვკარ,
კოჭლი ჭედილა ფარას მივდევ, როგორც მზიანეთს,
დედით ობოლო, ოი, დედავ, დედავ, დედილავ,
სად ხარ ქალილო, ალილოზე დავიგვიანეთ.
წელიწადები გველებივით გაასრდებიან,
იქნება მართლაც ერთი ძელი შენთვის გარანდონ,
რაის ალილო, ხვალ წითელი პარასკევია,
შენ კი ურითმო ლექსებივით დავიდარაბობ.
ფურისულები გამოშლილან, თითქოს დოლია,
მიწის მიწიდან მოგბღავიან ქვეყნის სადარდელს,
კედელში ნებით ჩატანებულ გრძნეულ გოლიათს
იმასაც არვინ გეკითხება, შვილო, სადამდე.
პარასკევია, მწუხრისაგან აჟრჟოლებს ტაძარს,
და მორწმუნენი გვერდით დებენ ხსოვნის სასმისებს,
როგორ მოგძებნო, შენთვის მიწას არავინ დაძრავს
და რაღა მაინც სწორედ ახლა მოგისაკლისე.
აკლდამა უნდა ყველა ბღენძს და ყველა ჩინოსანს,
კაცმა არ იცის შენი ნეშტი სად ასვენია,
შეგითამამდი, ბოდიშს გიხდი, ნიკო ფიროსმან,
მაგრამ რა გიყო, ხვალე მაინც პარასკევია.

პატიება

სულში ხვატია და ვქარტეხილობ,
ბათუმის ზეცას ვეჩონგურე,
ბოდიში, ყისმათდასეტყვილო,
მამის სახლო და ეზო-ყურევ.
ახლა რომ ჩემში მორევია,
ზღვამ როგორ დანთქას, სვეტიალო,
შენ მანდ ეკალი მოგრევია,
მე კი ბულვარში ვხეტიალობ.

ჩათავდა ლამის სამი წელი
და თითქოს უცხოდ გეჩვენები,
კიდეც დამწყევლე და გამიწყერი,
ღირსი ვარ, ღირსი შეჩვენების.
დღეები უქმად მეპარება,
ანჯახი დროება შავრაზმელობს,
არამი იყოს ნეტარება,
დედ-მამის კარის ჩამრაზველო.
მეტყვიან, ბედთან რად უმძრახობ,
ქონება განა ოხრად ყრია,
მაგათ რა იციან, ნაფუძარო,
უყრმო სასახლეც რომ ქოხ-მახია.
ნუ მიმზერ აგრე მომდურებით,
ჩვენს შეყრას ისევ ჟამი ჩქარობს,
მლოცავენ შენი ქონგურებიც:
„ობოლი არვინ დაგვიჩაგროს“.
ვაი, თუ ფუჭად ილოდინე,
და ეულს ვეღარ მოგიარე,
ისევ ტკივილებად მილოგინებს
ხსოვნა - უსხეულო მშობიარე.
მანდ რომ ჩემი ყრმობა იასამნობს,
ვიცი სალარნაკედ გაწირავენ,
შენთან ამყოფე, რომ გიაღსაროს
ვიდრე ზეობიდან სამძიმრამდე.

უსიყვარულოდ და უგრიგალოდ

დევის ხვრელიდან ვიდრე ლელიანს
დრო მზის მკლავებზე წავიკაპიწე,
ყრმა ხევსურები ნისლებს წველიან
და ბერწ ოცნებებს ცეცხლზე ვაფიცხებთ.
განთიადი კი, როგორც ბოჩოლა,
ივრის პირიდან მომყვა ბღავილით,

გადაგეხვევი, ძმაო ჯოყოლავ,
და შენს სანახებს რიდით დავივლი.
ხონჩით მოგართმევ ალაზნის ღამეს,
სიზმრის დედა რომ ყვარობს მალულად
და საწნახელში ჩავარდნილ მთვარეს,
მთას რომ საწაწლოდ გამოპარულა.
აგიფერადებ ნაზამთრალ ხნულებს
„ლილეოთი“ და „შენ ხარ ვენახით“,
და თუ გაჭირდა, ჯავრიან გულებს,
ვით ჯიხვის ყანწებს, ზეცას შევახლით.
წამოვუძღვები ფიქრის არმადას
და დაგაფიცებ დამფრთხალ ალიონს,
მე თეთრ არაგვთან გული დამვარდა,
შავი არაგვი როგორ დავლიო.

ნატვრა აღდგომის ღამეს

მიწის, პურისა და კაცის
სუნს ნუ მომანატრებ, ღმერთო,
თუკი მწყურვალისთვის დამცლი
და თუ სანთლად უნდა ვენთო,
სუნთქვა გამაგონე შვილის,
სიო მაგ ზეციურ ჰანგთა,
მერე ერთ მშვენიერ დილით
ლოცვად დამაყუდე კართან.
ლიბოდ მომიქციე ძვლები,
ანდა გამიყენე ბექობს,
ოღონდ დაკარგული გზები
ისევ მაპოვნინე, ღმერთო!

გულნაზი წერეთელი

დაიბადა ქ. რუსთავში, 1956 წლის 18 დეკემბერს. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი წარჩინებით. ცხოვრობს დედოფლისწყაროში, ჰყავს მეუღლე, 3 ვაჟი და 6 შვილიშვილი. მუშაობდა სოფელ სამრეკლოში ვეტ.უბნის გამგედ, რაიონის ეპიზოოტოლოგად და ბაქტერიოლოგად. არის დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის თანამშრომელი.

ჩვენი საპატრიარქო

მეფეთ-მეფის დაბადება
წარმართ გზაზე მდგარ ქვეყანას
ჭექა-ქუხილით და წვიმით
გვამცნო მაშინ ჩვენ უფალმა.
და შენც, ჩვენო პატრიარქო
ცისარტყელად შემოგვერტყი,
და მოგიძღვნეს ბნელ ღამეში
ნათელ დღისთვის მძიმე კვერთხი.
გზად და ხიდად გაგვიფინე
უფლის დიდი სიყვარული,
ღვთისმშობელი გვერდში გყავდა ,
ტკივილს ცვლიდა სიხარული.
რამდენიმე ლამპრის ალი
დიდ კოცონად აღავლინე
გულის წყლულებს ღრმად მარხავდი
სამშობლოს კი მოურჩინე.

წლობით ნაჭდევ ჭრილობათა
ემპლასტრა ხარ ღვთიურ მადლის,
შეუწველი მაყვალი ხარ
და მირონი უფლის კვართის.
ბნელი ღამის შუქურ სხივი
ღმერთისაკენ წარგვიმართე,
თითო დაკარგული ცხვარი
რძით გვკვებე და გამოგვზარდე.
მოთმინების ფენომენი
და სიმშვიდიდ ბრძნული გენი
განავრცე და ჩაგვითესე
ვით ხასხასა მწვანე ველი.
თითო ყლორტად გამოგვზარდე,
თითო სათბურის ყვავილად,
სიმტკიცე არ დაგვაკელი
და გაგვიდე გზად და ხიდად.
შენი ხელის სითბო გვათბობს
და თვალების ტკბილი მზერა,
გალობანი ბულბულ ხმისა
დარდის დაფლა, სულის მღერა.
ძმურად ხელის გადაჭდობა,
ყინულების გასადნობად,
ქართულ სულის ყივილია
ძველ ცოდვათა წარსახოცად.
დავითს მძიმე ხმალი ერტყა
და ხელთ ეპყრა სახარება,
უფალთან ჩახუტებული
ქართველ ერსაც ახარებდა.
დერბენტ-დარუბანდიანი
საქართველო ჩაგვაბარა
ტაო-კლარჯეთს ბერთა ლოცვით
ვჭვრეტდით უფლის ანა-ბანას.
დრო და ჟამი ქარაშოტებს
და მცხუნვარე სიოს წადილს

უძლებდა და კვლავ გაუძლებს
შეფარებით დედის მანდილს.
ღვთისმშობელზე მინდობილი
მისი ლოცვით ნატარები
უფლის ნებით დაცული და
მისი მადლით ნახარები.
ჩემი მიწა დაკოჟრილი
ბევრჯარ ფესვებ გადაჭრილი
ტანჯული და გათელილი
გულში ლახვარით დაჭრილი.
და შენც, ჩვენო პატრიარქო,
მძიმე ჯვრით მხრებ დაშვებულო,
სპეტაკ გულით მომლოცველო,
სიყვარულით აღვსებულო.
ყველგან, ყველას განურჩევლად
უმოყვრე და კვლავაც მოყვრობ,
უფლის სიტყვით ქადაგებ და
უფლის ნებით ყველას მოძღვრობ,
შენს ჭაღარა მკერდში ფეთქავს
საქართველოს დიდი გული.
ღმერთმა კვლავაც გადღეგრძელოს
გაგიხაროს წრფელი სული.
სული გასპეტაკებული
სული ზეპური ერისა
ღვთისმშობლის მადლით ნაკვები
მომალბობელი მტერისა.

***

„ხოლო წყალობა უფლისა საუკუნითგან და ვიდრე
უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა, და სიმართლე მისი
შვილითი შვილამდე“

ჰეი, ბიჭებო! ბიჭებო!
ლომგულ მენახეთ მარადა,
რომ სულს მზის ხვატი გივსებდეთ
სამართალს ედგეთ ფარადა.
ხენეშს და ავს ნუ გაიხდით
სამოყვროდ, თუნდაც წამადა,
უფალის ნებას დაუთმეთ,
რომ მუდამ იდგეთ მყარადა.
ზურგს ნუ შეაქცევთ სიყვარულს,
ობლის და გლახასთანადა,
მწირსაც უსაჯეთ ღვთიურად
ავდარს რომ სჯობდეთ დარადა.
დრონი მეფობენ მეფეზე
ჭეშმარიტია მარადა,
ყოველგან უფალს ეფარეთ,
ნათლის გზადა და კვალადა.
რომ არ დააგდოს უფალმან
თესლი მოყვარე ავადა.
გლახად და პურის მთხოველად
სხვისა კარისა კარადა.

ოქროს ფონდი

მერაბ ბერძენიშვილის ხსოვნას

თითო ცალობით გვტოვებთ ტკივილით
და გადადიხართ უკვდავებაში,
დღეს, მერაბ, შენი სულის ნათელი
მრწამს, დაივანებს ღმერთთან ზენაში.

ჩემი ტანჯული ქვეყნის სიმტკიცეს,
თქვენ შეალიეთ მთელი ცხოვრება.
ქართული სულის აღმაფრენისთვის
წინაპრის კვალზე გქონდათ სწორება.
მე თქვენს ჭაღარას მუხლს მოვუდრიკავ
და სისპეტაკეს თქვენსას ვაფასებ.
თქვენ ჩემი ქვეყნის ოქროს ფონდი ხართ
ქართული სულის თასი ხართ სავსე,
რომელსაც ბნელის შეხლა-შემოხლამ
ვერა დააკლო, კვლავ არის სავსე
და მჯერა უფლის თანადგომობით
სამომავლოდაც იქნება ასე.
როგორც არ უნდა წავიფორხილოთ,
ამ ოქროს ფონდის მადლით და ძალით
ჩემი ქვეყანა მსწრაფლ წამოდგება,
ხელში ექნება ფარი და ხმალი.
ხმალი - ქართული ნათელი რწმენის,
ფარი - კი ყველას სიყვარულისა,
ძალა - ქართული გენის სიმტკიცის,
და უკვდავება - აღმაფრენისა.
მრწამს, ოქროს ფონდის ძირძველ საუნჯის
უკვდავების კარს ბევრი შეაღებს
და უსასრულოდ ასე იქნება -
ჭუჭყიან ხელებს ვერვინ შეახებს.
ვერვინ გაბედავს, უმუხთლოს მუდამ
ჩემი ღვთისმშობლის კალთით დაცულ ერს,
რომელსაც მარად სწამდა უფლისა,
ახალს მიჰყვება და ეტრფის იმ ძველს.
რადგან სჯერა, რომ ძველ ფესვთა ძალა
ნათელმყოფობის საზრდო არის დღეს.
ჯანსაღი ფესვი წყაროა მადლის,
რომ ყლორტი კვებოს და უმზერდეს მზეს.

გიორგი წიკლაური

დაიბადა ქალაქ ბათუმში. 1989 წლის შვიდ ივლისს. სკოლის დამთავრების შემდეგ კოლეჯში განაგრძო სწავლა და ღვინის ტექნოლოგიას დაეუფლა. მას ყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. ასევე აქტიურადაა ჩართული სპორტში. კერძოდ კიკბოქსინგ- ში. 2014 წელს მიიღო მონაწილეობა ამავე სპორტში და იგი ორთაბრძოლის მსოფლიო პრიზიორი გახდა ვერცხლის მედლით. ასევე მრავალი ტურნირის გამარჯვებული. ბავშვობიდან უყვარდა ლექსების წერა, თუმცა სერიოზული სახე მან თავის პოეზიას 19 წლის ასაკში მისცა. უყვარს სიცოცხლე და მისგან მიღებულ ენერგიას, თავის ოჯახსა და თავის საყვარელ საქმიანობებს ახარჯავს. მისთვის საყვარელი გამონათქვამია: „ზოგჯერ სიჩუმე, მოგებული ომის ტოლფასია!“

*****

ტანგოზე აიწყვეტს ჩანაფიქრს უხეშად...
ტუჩებმა წუხანდელ ღამეზე მიამბეს,
ნამთვრალევს მაღვიძებს ჩურჩული კისერთან,
ალერსში დაღლილი თითები მაცდურად,
ვნებიან სიყვარულს ახლიდან მპირდება.
მპირდება და მერე ღიმილით მიამბობს,
მიამბობს როგორი დაღლილი ყოფილა,
რომ ჩაწნულ დალალებს გაიშლის სირცხვილით,
და სხეულს სამოსში მიმალავს შორიდან.
მუსიკის თანხლებით იცეკვებს კლასიკას,
სურვილებს სურვილს რომ ამატებს ულევად,
ახლიდან მოგტაცებს ფიქრების დასასრულს,
ტანგოზე აიწყვეტს ჩანაფიქრს უხეშად.

და ისევ ჩურჩული ტუჩების კისერთან,
ნასუნთქი ბგერების მორჩილი ფერება,
გასული უსიტყვო მორიგი საღამოც,
მკლავებში ჩემს გვერდზე დაღლილად თენდება.
და ვილექსო პოეტივით სირცხვილია
მაშ დავკარგო ქართველობა დროთა გამო,
და ვილექსო პოეტივით სირცხვილია,
დავინატრო გასულ წლების საუკუნე,
რომ კაცობის, მეგობრობის შიმშილია.
მაშ ვიმღერო სხვა ენებით მოდის გამო,
სადაც მრავალ ჟამიერის სამშობლოა,
ფუი მაშინ რაღად მიღირს დღეს სიცოცხლე,
რომ ღირსება თითქოს უკვე საგონოა.
მაშ დავკარგო რწმენა, რაც რომ მაბადია,
სხვა რა სისხლი შევიერთო სისხლ-ძარღვებში,
იავნანას ნუთუ სხვანიც უმღერიან,
დარდიანად, უწმინდესად მისამღერში.
დავივიწყო დღეგრძელობა წინაპრების,
და რომ ვისკით გიმასპინძლო სირცხვილია,
სხვა კულტურას მისტიროდე ქვეყნის შვილი,
ეს ხომ უკვე დაკარგული სინდისია.
არცერთ ტკივილს არ ვუწამლებ მონატრებას,
თუ ქვეყნის და სიყვარულის შიმშილია,
მაშ დავკარგო ქართველობა დროთა გამო,
და ვილექსო პოეტივით სირცხვილია.
ახლა რაღა მამკლავს
ხევსურს შავხვედრივარ ბედადაო,
ახლა რაღა მამკლავს უბედურსა,
გული გამტეხვია ბეჩავსაო,
რაად ვინატრებდი უკეთურსა.
ხევ-ხუვს დავრჩენილვარ ერთიღაო,
გულიც სიბერისგან გატიალდა,
აღარც თოფის ხმები შამომესმის,
მხოლოდ ნიავ თუღა გაშრიალდა.

აღარც ღრეობისა ღრიანცელი,
აღარ მსმენიაო დავიწყებულს.
სულმა ის ბრძოლები გალია და
თვალებს შეგაფეთებ დაჟინებულს.
რაად მასწყვიტეო არწივები?
კლდეებს ამშვენებდნენ წიოკითა.
სულიც მიტო ასე დამღლიაო,
ბებერს მონადენი ხრიოკითა.
გავქვავებულვარო მონატრებით,
აღარც რიჟრაჟ მაკრთობს სიცივისა.
მგლები ყმუილითო მონადენი,
ნაბადს ამიშლისო შიმშილისა.
ამ ფიქრებში ვარო გახვეული,
თავი მიწისკენ რომ ჩამქინდვრია,
გონი მარტოობით არეული,
მთებიც დაღმართ- დაღმართ ჩამივლია.
გონს რომ მავსულვარო გასახარად,
შამფეთებიაო გადამრჩენი,
აქვე მოვეშვიო ამ ფიქრებს და
შინად ასულები გადავთვერით.
ხევსურს შავხვედრივარ ბედადაო,
ახლა რაღა მამკლავს უბედურსა,
გული ამიძგერდა ბეჩავსაო,
რაად ვინატრებდი უკეთურსა.
როგორ დავმუნჯდე ენა მეტყველი...
აი იმ მთების შემხედვარემ, როგორ არ ვწერო?!
როგორ დავბრმავდე თვალ ნათელი მითხარ შე კაცო?!
სულ რომ ღმერთივით გადმომყურებს უპირობითოდ,
ამის დანახვამ ახლა უფრო ძლიერ შემაკრთო.
როგორ დავმუნჯდე ენა მეტყველი გამაგებინეთ,
როგორ არ გითხარათ ამოძახილი სისხლ-ძარღვებიდან,
დაე უყურონ ამ თვალებმა მათ სილამაზეს,
ნაკადული რომ დაეშვება მთის ნაკვთებიდან.

რა უღმერთობით დამაბერა მათმა ლოდინმა,
ან რა ხეტიალს გადავყევი ბარის კუთხეში,
გაჯავრებული საკუთარ თავს მიჯნას მივიყვან,
არ იმსახურებს არავისგან ღალატს ნუგეში.
როგორ შემოვრჩე ამ ქალაქებს კიდევ ცოდვილი,
როგორ ვისუნთქო ეს ჰაერი ავაზაკების?!
როგორ დაგწყევლო არ შემფერის, ოხ შე ბედ-კრულო,
ვატყობ ცხოვრების დრო მოვიდა გადაბარების.
აი იმ მთების შემხედვარემ, როგორ არ ვწერო?!
როგორ დავბრმავდე თვალ ნათელი მითხარ, შე კაცო?!
სულ რომ ღმერთივით გადმომყურებს უპირობითოდ,
ამის დანახვამ ახლა უფრო ძლიერ შემაკრთო.

და როგორც ნიავი შენს მკერდზე ვიქროლებ.
რა რიგად გიხდება დალალთა სიმრავლე,
მთის ქალო ყელამდე შეგიკრავს პერანგი,
ზაფხულში შველივით დაიწყე სიშმაგე,
რადგანაც სიფიცხით შეგეხოს ვერავინ.
ენძელას ვეფერე თითებით ისე რომ,
ასეთი შეხვედრა ჯერ მას არ უნახავს,
უკვალოდ დავტოვე ნიავთა სიმრავლე.
რადგანაც სურვილი თავის თავს უმალავს.
მოვწყდები მთებიდან უხედნი ცხენივით,
და როგორც ნიავი შენს მკერდზე ვიქროლებ,
მერე კი სხეულის უსასრულ კიდეში,
მე შენი სურნელის ნაკვალევს ვიტოვებ.
სიმკაცრეც რა რიგად გიხდება თუ იცი,
კანკალით მაგ თითებს თმებში რომ აცურებ,
დავლეწავ ტაძრებში სუყველა სასანთლეს,
იმ ბნელში ნათებას შევქმნი და გაჩუქებ.
ხომ ხედავ შემჭამა, გამომხრა მუზებმა,
ამტეხა ნისლებმა რაც შენით დავიწყე,
ტინებთან დავეშვი მე როგორც არწივი,
სიცოცხლე დიაცო ნუ გადამავიწყე.

რა რიგად გიხდება დალალთა სიმრავლე,
მთის ქალო ყელამდე შეგიკრავს პერანგი,
ზაფხულში შველივით დაიწყე სიშმაგე,
რადგანაც სიფიცხით შეგეხოს ვერავინ.
სხეულზე სურნელი, არ დაგრჩეს...
დამალე ახალი ნაყიდი ქოშები,
ვინ იცის მეუღლემ იეჭვოს რაიმე,
არ გინდა, გულსაბნევს ნუ ჩამოიკიდებ,
გააქრე შე ქალო ან სადმე წაიღე.
დაბრუნდი დროულად და სახლში მისულმა,
წყლით ჩამოირეცხე სხეულზე სურნელი,
არ დაგრჩეს სიწითლე კისერზე კოცნისგან,
არ არის ნამდვილად ეგ კაცი სულელი.
სახელი მრავალჯერ, მრავალჯერ წარმოთქვი,
კოცნისას სხვისი რომ არავის წამოგცდეს,
მიყვარხარ, კანკალით აჩუქე ალერსი,
რომ როგორც არასდროს არაყით გამოთვრეს.
წაშალე ლექსები, არ დაგრჩეს „ფეისზე“,
გალანძღე ცხოვრება ორ გული ქალების,
და როცა შეატყობ ღრმად ჩასძინებია,
დაიწყე სიცოცხლევ გადახდა ვალების.
დამალე ახალი თვალების კაშკაში,
და ძველი ნიღბიდან მოირგე ღიმილი,
მზრუნველად უსწორე საყელო პერანგის,
სახლიდან გავა და მობრუნდეს ვინ იცის.
დამალე ახალი ნაყიდი ქოშები,
ვინ იცის მეუღლემ იეჭვოს რაიმე,
არ გინდა, გულსაბნევს ნუ ჩამოიკიდებ,
გააქრე შე ქალო, ან სადმე წაიღე.

თამაზ წიკლაური

დაიბადა 1958 წლის 26 ოქტომბერს დუშეთის რაიონის არხოტის თემში, კერძოდ, სოფელ ამღაში. 1961 წელს მისი ოჯახი გადმოსახლდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში. თამაზმა აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მისი ლექსები სისტემატიურად იბეჭდებოდა და იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში და ალმანახებში. ამჟამად არის დედოფლისწყაროს რაიონის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

მე მახსოვს

უდედო ნუკრივით იყავი მშიშარა,
ადგილს რომ დაეძებს, სად დავიმალოო....
მე მახსოვს, ნიავმა თმა რომ ჩაგიშალა
და მოგესათუთა: პატარა ქალოო....
გამყევი, ნუ შიშობ, ასე ნუ კრთებიო -
და შენი თვალებიც რისხვისგან აენთო....
ნიავიც დატუქსე, რას მეფერებიო,
შენნაირ ურცხვებთან რა მაქვსო საერთო.
ცა იყო კრიალა, მზე წითლად ღუოდა....
ყველაფერს ვისმენდი, ყველაფერს ვხედავდი...
და მივხვდი, რომ შენთან ნიავიც ტყუოდა
მეც, აბა სიყვარულს რას შემოგბედავდი!
სიცოცხლის ამღვრეულ დინებას მივყვები...
გზა და გზა ხან მე და ხან გული ქანაობს,

სად წავალ, არ ვიცი, სად გავირიყები...
მიხსენი, მიხსენი, მიხსენი, ქალაო!

ქართველ ასულს

შენა ხარ ჩემი სიმღერის დედა
მუზა გიწოდეს დიდმა მგოსნებმა.
შენ, ქალავ, იშვი როგორც ლეგენდა
და ძველი მითის გასხივოსნება.
შენზე ოცნებას ვიწყებ ხელახლა...
და ჩემს ფიქრებში თავზე გევლები.
შენ დაიბადე, რომ დანენახა
მშვენება უფლის საკვირველების.
შენ დაიბადე ცის სილურჯეში,
როცა მზის სხივი ღამემ შენისლა.
შენ დაიბადე როგორც ნუგეში
ამ ქვეყნად ჩემი გადარჩენისა.
შენ ცის თაღებზე ჩანდი ეულად
თავად მზის ტოლი, მზის ქალბატონი...
შენ დაიბადე და მეყვსეულად
ელვამ გაჰკვეთა ცის კაბადონი.
უშენოდ ყოფნა ცრემლის დენაა,
ხამ, შენზე ფიქრში სანთლად ვდნებოდე,
სიკვდილ-სიცოცხლე რა ბედენაა,
ამ ქვეყნად რომ არ მეგულებოდე?!
სიკვდილთან შებმაც გამიადვილე,
ვის ვუთხრა დარდი გულში ნადები?
შენ ხარ ოცნება, ხარ სინამდვილე,
შენ ხარ სიზმარი აუცხადები!...
შენა ხარ ჩემი სიმღერის დედა
მუზა გიწოდეს დიდმა მგოსნებმა.
შენ, ქალავ, იშვი როგორც ლეგენდა
და ძველი მითის გასხივოსნება.

***

ჩემს ლექსში რაღა გინდოდა
სიზმრად ხომ არ მომასვენე,
ვიდრე მზე ამოვიდოდა
ისევ რითმაში გახსენე.
სისხლი მიშრება, თან კიდე(ვ)
ეს გულისცემაც მინელდა...
რაღა სადარდელს წამკიდე
მე დარდს რა გამომილევდა?!

***

ცად ოქროს ვერძი ბალახობს,
სამზერი მცირე ხანისა,
ვწერ, ზოგჯერ ღმერთიც მკარნახობს,
ხან მე ვჯობივარ, ხან - ისა.
ლექსის წყარო ვსვი ხარბადა,
სული გრძნობებით მეწვოდა,
მე რომ პოეტად დამბადა
უფალმა მაშინ შესცოდა.
მიენდო გული მხურვალი
ამბოხი სულის ყიჟინსა,
დავდივარ ლექსის მწყურვალი
დამდევს სახელი გიჟისა.

თითქოს

თითქოს ოცნებად დამჩემდი
თითქოს ტკივილებსა ეშველა
თითქოს შენ გადამარჩენდი
თითქოს მზეც შემომეშველა.
თითქოს შეცვალე რაიმე
თითქოს დროც იმედს ნიშნავდა
თითქოს რა, თითქოს, ვაიმე!
თითქოს მზეც გადამიშავდა.

შმაგი ჭინჭარაული

დაიბადა 1966 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ძალიან უყვარს პოეზია და მოცალეობის ჟამს თვითონაც წერს ლექსებს.

თალალა

მთვარემ ეს ღამეც ისე გალალა,
არ მოუხუჭავს წამითაც თვალი.
ჭაბუკის პერანგს ჰქსოვდი თალალავ,
იყავ ღვთაება და იყავ ქალი.

ოქროს დარბაზებს დაამშვენებდნენ
კალმით ნახატი შენი თვალები.
ო, შენ თავს უნდა დაგტრიალებდნენ
თამარ დედოფლის სეფე-ქალები.

თან უნდა გახლდეს მეფის ამალა
და მომღერალი ანგელოზთ დასი.
დაგმშვენდებოდა ჩემო თალალავ
აღმოსავლური ფარჩა - ატლასი.

-მე კი, ოცნების ტაძარს ვიშენებ,
აგებული მაქვს ტრფობის ხარაჩო
და შიგ ფრესკებად მხოლოდ შენ გხატავ,
მინდვრის შროშანო, მთების ყაყაჩოვ.

პირქუში მთები გვყვანან მცველებად,
როგორც ზრაპრული ბაყ-ბაყ დევები.
ცაში როინობს თეთრი არწივი
კლდის ქიმზე ღამე განათევები.

ბადრის და უსუპს თან ვიახლებდი
და მითიური ამირანივით
შვლეწდი ბაყ-ბაყ დევთა კარიბჭეს,
გაგიტაცებდი გრიგალ ქარივით.

მაგრამ იცოდე ჩემო თალალავ,
შენ მაგ ჭიუხებს უფრო უხდები.
ეგ ნისლებია შენი ამალა,
სეფე ქალებზეც ნუ შეწუხდები.

ღმერთმანი, ერთურთს რარიგად ავსებთ:
შენ, მზე, მთვარე და დედა ბუნება.
ყანწი მომართვით ბახუსით სავსე,
სულს ყანწი უფრო ესალბუნება.

უნდა დაგლოცო ჩემო თილისმავ,
შუბლი გახსენი ხევსურის ქალო.
გააცისკროვნე ქვეყნიერება
მნათობო, ცაზე ამომავალო.

***

არ კვდება სული ობლად შთენილი,
კიდევ აცოცხლებს მუზა საშური.
გრძნობა, გულიდან გამოდენილი,
აზრი, გონიდან გამონაჟური.

ვებრძვი ცდუნებებს როგორც ფაუსტი,
ო, გადარეულ ცდუნებებს ვებრძვი...

და მეფისტოფელს თუ ვერ დავუსხლტი,
მიწამ შეჭამოს ეშმაკის კერძი.

... ვინძლო გონებას უხმოთ მაშინვე,
თუ ვერ გაუძლო გულმა ცდუნებას...
პოეტები ვართ და ვერ გვაშინებს
ერთხელ წასვლა და არ დაბრუნება!

თამილა

ტკივილი ტკივილზე თანა მდევს,
ამ ტკივილს სხვა ვერა უშველის,
მთვარეს, ვარსკვლავებთან ნავახშმევს,
შენზე ვებაასე წუხელის.

სიცოცხლე ხომ მაინც ჩაქრება,
სიკვდილს ვუმასპინძლებ მეფურად.
არ ჭკნება, არ კვდება, არ ქრება,
მზის ჯიღა, თავზე რომ გეხურა.

გაზაფხულს გვაუწყებს ცის ნამი,
იხუვლებს ვარდი და ღიღილო,
ზღვის დარი, მზის დარი, ცის დარი
ვინ გშობა, რამ გშობა ღვთისშვილი.

მდუმარე შევხვდები ალიონს,
ეს ღამეც ჩიტივით გაფრინდა .
გეძახდი, გნატრობდი, გელტვოდი,
გიხმობდი ოცნების ზღაპრიდან.

მთლად ჟამკარს ამირევ ხანდახან
ქალთა მზეს გადარებ ზეციერს.

ნეტავი ვიცოდე სადა ხარ,
სიზმრადაც რომ აღარ მეწვიე.

***

მეც ამ ცხოვრების ერთი ტალღა ვარ,
მეც ამ ცხოვრების ერთი ზვირთი ვარ,
ცხოვრებამ ისე ძლიერ დამღალა,
მაინც ვბობოქრობ, ვიბრძვი, მივდივარ.

ბოლოს ხან ერთი წვიმის წვეთი ვარ
და ხან ჩანჩქერი, ვეტრფი ღარტაფებს.
ხან უწყინარი თოვლის ფიფქი ვარ
და ქარი სადღაც დამაფარფატებს.

ხან სევდა, ხანაც დარდი გამთელავს,
ხანაც ოცნების კოშკებს ვიშენებ.
მეც მომაქვს თავი რიგით ქართველად
და მწარე წარსულს ტკბილად ვიხსენებ.

***

ხმელი წიფელი იდგა და შვლის ნუკრის ცოდვით იწვოდა,
თავის თავს აღარ დარდობდა, თავის ბედს აღარ სჩიოდა.
გაფიჩხებული ფესვებით საზრდოს რომ ვეღარ იწოვდა,
მასაც ნუკრივით სწყუროდა, მასაც ნუკრივით შიოდა.

ეკა ჯავახიშვილი

დაიბადა 1976 წლის 14 ოქტომბერს . 1993 წელს წარმატებით დაამთავრა სოფ. არბოშიკის საშუალო სკოლა . იმავე წელს ჩაირიცხა სანკტ -პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ინგლისური ენა ლიტერატურა). 2009 წლიდან არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანება ,,ფიროსმანის" წევრი. გამოცემული აქვს 2 პოეტური კრებული ,,სიყვარულის ქარცეცხლი" და ,,თითქოს უშენოდ არც მიცხოვრია". ამჟამად ცხოვრობს საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე.

***

შენ დიდი გზა გაქვს,
ჩემს გზას ჰქვია პოეტის შარა,
შენ დინჯი, მე კი
ნიავივით ამტყდარი ბარში,
როგორც ყოველთვის,
რადგან ახლაც მე შემეშალა,
დაგეხმარები ჩემი თავის
დამარცხებაში.
ცრემლს ცრემლზე ვდებდი,
სიყვარული ასე ნაგები,
უკანასკნელი ძალებითღა
ებრძვის ამინდებს,
წავალ, ხო წავალ,
შენგან შორს და დაგეკარგები,
შევეფარები, როგორც მთები

ნისლის ქლამინდებს.
სასწაულების
რომც ვირწმუნო, არაფერს ველი,
ბედნიერებამ
ჩამიარა, ახლა სხვისია,
მე აგიშენე
სიყვარულის სვეტიცხოველი
და სულ ეს იყო
შენთან ჩემი მოსვლის მისია.

ავაზაკი

1.,,მე ვარ უფალი, ღმერთი შენი" ,რას ამბობ ღმერთო
როგორ გარდამქმნი ეშმაკის გზად მავალს უეცრად,
მე ის ცეცხლი ვარ, ჯოჯოხეთში რომ უნდა ვენთო,
ვერ შეგიცანი და ამიტომ დავრჩი უმეცრად,
2.ვინ არ ვიღმერთე, ვიგონებდი ხატებს საოცარს,
ანგარიც ვიყავ, ამაყიც და ხშირად უძღები,
არ მოვუდრიკე მოკრძალებით მუხლი სალოცავს,
ამხელა ცოდვის ფარას ახლა წინ მოვუძღვები.
3. ვეცემოდი და გაბრალებდი შენ, როგორც გამჩენს,
ცრუ რიტუალად მივიჩნიე წმინდა ნათლობა,
ვამბობდი, ღმერთი კარგს ავისგან თუ კი ვერ არჩევს,
რას ვეთაყვანო, რა ვიწამო, უსამართლობა?
4.კვირის მეშვიდე დღეს მინდოდა ეშმა მეხატა,
მომჩერებოდა დაჟინებით მზერა ცისფერი,
განა არ ვიცი, რომ შემქმენი ღმერთო შენს ხატად?
ვერ დავამარცხე ჩემში მაინც ლიუციფერი.
5. იქ სადაც ავცდი ჭეშმარიტ გზას, ავცდი მშობელსაც ,
უღმერთო ვყავდი, უარესსაც რაღას ნახავდნენ,
ზურგი ვაქციე, სალოცავად ვაჩნდი რომლებსაც,
არ ვენდე ხელებს ყოველდღე რომ პირჯვარს მსახავდნენ.
6.უფალო, იცი, რომ შენდობას შენგან არ ველი
მომხსენ ნიღაბი , რაც ჩემს ნამდვილ სახეს არ აჩენს,

ვინც ჯვარს გაგაკრა, მარტოდენ ის არაა მკვლელი,
პილატე ვიყავ, დავეთანხმე დასჯის განაჩენს.
7.არ აყოვნებდა უღმერთობა ჩემი, არც შედეგს,
ვერ გადაადგავ ნაბიჯსაც თუ რწმენა გაკლია,
სასაცილოა, დახვავებულ ცოდვების შემდეგ,
ვთქვა, რომ მრუშობა დანარჩენზე მეტი ნაკლია.
8.,,არა ვიპარო?" მომიპარავს რამდენიც გინდა,
ამდენი ,,ჭუჭყი" მა საიდან, ამდენი ,,შმორი",
სიხარბით ვხვეტდი სიმდიდრეს და შიშს არა მგვრიდა
განკითხვის ჟამს რომ დავრჩებოდით პირისპირ ორნი.
9.მოყვარეც ბევრჯერ გამიწირავს, თან ისე, სინდისს
ერთი ვაიც არ დასცდენია, არ თუ გოდება,
ყველა გზა მაინც, საბოლოოდ, სიკვდილთან მიდის,
წინასწარ ვინ წუხს, იმის იქით რა ელოდება.
10.თავზე საყრელი ჩემიც მქონდა, სხვისიცა მსურდა,
თვალი ყოველთვის გამირბოდა სხვათა ყანაზე;
არა ჰქონოდა შესაშური, მე მაინც მშურდა
რადგან ბოროტი ძლიერობდა ამ ქვეყანაზე.
P.S.
ვხედავ ეშმაკის ,,პალატებში" ცეცხლი მზა კია,
სულ ერთი წუთით ღმერთო, წუთი მადროვე ერთი,
ხომ შემიცანი, შენს წინ დღეს ის ავაზაკია
ჯვარზე გაკრულმა, რომ იწამა თავისი ღმერთი.

***

იარა ღრუბელმა, იარა...
ვერც ვერა გაიგო ამინდმა,
უშენოდ ლექსები კი არა,
უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა.
იდარა, მაინც ხომ იდარა
და გული ჩურჩულებს,-,,აქ არი".
სიგიჟე უწოდე, გინდა რა...
გიჟობა ყოფილა მაგარი.

მიყვარხარ! საიდან, ან როდის,
ვეღარსად გაგიშვებ ფიქრიდან,
წამოდი და მზე რომ ამოდის
სამყაროს ვუყუროთ იქიდან.
შენ ჩემო დილავ და დაისო,
ეს ჩემი ოცნების ხედია,
ამბობ, რომ სიგიჟე არისო,
სიგიჟეც პოეტთა ხვედრია.

****

მზე? არა , - რა მზე, თითქოს ზეცაზე
იწვოდა მზისფრად შირაზის ვარდი
მინდა ვიყვირო სულ ბოლო ხმაზე
მთელი ცხოვრება მე შენ მიყვარდი.

იგივე მზერა, ღიმილიც იგივ,
ჩემს ნაცნობ სახეს ვკოცნი და ვურცხვობ,
ნუ გაგაკვირვებს ეს სითამამე
ჩემთვის არასდროს ყოფილხარ უცხო.

იყავი მუზა ლექსის ზედაშე,
პოეტისათვის ხატად და ღმერთად,
გვიან მიცანი თორემ მე და შენ
დასაბამიდან   მოვდივარ ერთად.

ნონა ჯიბღაშვილი

დაიბადა 1960 წელს
დედოფლისწყაროში. წარმატებით
დაამთავრა #1 საშუალო სკოლა.
დაამტავრა სულხან-საბას სახელობის
პედაგოგიური ინსტიტუტი და
ნატიფი ხეოვნების აკადემია. წლების გამმავლობაში
აქტიურადაა ჩართული დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების
განვითარების საქმეში. დააარსა ბავშვთა ხელოვნების
სტუდია „არლეკინო“.
არის ავტორი ძალიან ბევრი პროექტის, რომელიც
დედოფლისწყაროში განხორციელდა.

ირმის მყვირალობა

ისე, როგორც კლდიდან გადაჩეხილ ირემს
სადღაც შუა გზაზე რომ წამომეწიე,
გდამარჩინე და სული დამიამე,
მომეფერე როგორც უწყლოდ დამჭკნარ იებს.

შენ ხომ ჩემი ჩუმი იმედი ხარ მუდამ,
ამ იმედს კი დიდი გაფრთხილება უნდა,
როგორ მინდა, კარგო, რომ არ გაწყენინო,
ჩემი აღსარებით გული არ გატკინო.

შენ ხომ კაცი ხარ და უნდა მაპატიო,
ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილო:
შენ ის ხატება ხარ, უშენოდ რომ ვერ ვძლებ,
ირმის მყვირალობა დაიწყო და გეძებ.

შვლის ნუკრივით დავდევ მაგ შენს ნაფეხურებს.
მე და მონატრება ღამეც ვერ ვიძინებთ,
შენი სულის ნაწილს ჰქვია დიადემა
სადღაც, წარსულში რომ დავიტოვე ჩემად.

თუკი განგებამ და უფალმაც ინება,
ჩემი ოცნებები ცხადში თუ ახდება,
სული შეშფოთდება, გული აფეთქდება,
ნეტავ მომავალში, ნეტავ რა იქნება?

შენ ის ხატება ხარ, უშენოდ რომ ვერ ვძლებ,
ირმის მყვირალობა დაიწყო და გეძებ.

პატარა ია

დედის ცრემლებზე ამოდისო
ეზო-ეზო პატარა ია.
დღეს ჩემს სიცოცხლეს
დედა, შენი ტკივილი ჰქვია.
სპეტაკი სული შენი ცხოვრების
არის სტიქია.
ჩვენ ერთმანეთის
ვერაფერი ვერ გავიგეთ,
ვერა გვიქნია,
დედაშვილობა - შენს ცხოვრებას
აი, რა ჰქვია.
შენ არსებობის ყოველი დღე
მხოლოდ ჩვენთვის დაგიხარჯია,
შენი თვალები მე ლოცვისას
სანთლად მინთია.
ქვეყნად სულყველა ამხდენია
რაც გითქვამს და რაც გიფიქრია,
სულ თან დამყვება შენი სითბო,

შენი სუნი, შენი ალერსი,
და რამდენჯერაც დავიჩოქე,
ხელი სულ შენ შემომაშველე,
არსად დავეცი.
რაც კარგი რამე გამაჩნია, დედა,
სულ ხომ შენი წვლილია,
რაც საქებარი რამე უთქვამთ, დედა
ჩემთვის, შენი წილია.
მე გეთანხმები, რომ დედობა
მძიმე ხვედრია.
შენ რაც სიკეთე გითესია
დამიჯერე, წინ დამხვედრია,
მაგ ჭაღარაში, ყველაზე მეტი
ჩემი წილია,
მაგრამ, რას იზამ მის გარეშე
რომ ვერა სძლებ, ეს ის შვილია
და იმ დღით, როცა ჭაღარაზე
ჯვარისწერის გვირგვინი გედგა,
როგორ მინდოდა რომ დაჩოქილს -
„მაპატიე-თქო ყველაფერი“ –
ჩურჩულით მეთქვა.
და გაზაფხულზე ჩვენი ეზო
იებით რომ სულ ავსილია,
მე მაპატიე, დედა, რაც რომ
იმ ცრემლებში ჩემი წილია.
დედის ცრემლებზე ამოდისო
ეზო-ეზო პატარა ია.

დამტკიცებული თეორემა

იყავით ჩვენს გვერდთ
და სიცოცხლეს გვილამაზებდა
სიცოცხლე თქვენი.
მერე წახვედით, არ გვეგონა
სასუფეველში თუ შგვასწრებდა
ჩვენ სული თქვენი.
მარტო დავრჩით და ჩვენიდან თქვენამდე
მომავალ გზად და მონატრებად გადაიქცა
სიცოცხლე ჩვენი.
თქვენი წასვლით მოგვეხმარეთ და
როგორ იოლი გაგვიხადეთ
სიკვდილი ჩვენი.

სიყვარული აღარ მოვიდა

ფრაგმენტი

როგორ გვიყვარდა ერთმანეთი
მე და შენ ვიცით.
ირგვლივ ყველაფერს
აყვავებულ ატმის ფერი
ჰქონდა მაშინ და სული ზეობდა.

ჰოდა, სიყვარულს ამ ქვეყანაზე
ხომ ყველაზე მეტი მტერი ჰყავს!?
ვერ აიტანეს.

სარჩევი

		გვ.
1.	ლევან ალავერდაშვილი	3
2	ზიზო ბურდული	7
3	გია გარსენიშვილი	11
4	გიორგი გიგაური	15
5	მაყვალა გონაშვილი	20
6	ლელა გონაშვილი	23
7	ლექსო ლეკიაშვილი	27
8	ქეთევან ნათელაძე	31
9	თამარ ნასრაშვილი	35
10	გიორგი ნატროშვილი	38
11	დავით ნატროშვილი	44
12	ლერი ნოზაძე	49
13	გიული სამუკაშვილი	52
13	ჯუმბერ უთრუთაშვილი	56
14	ნატო ყატაშვილი	62
15	ვაჟა ყოჩიაშვილი	66
16	ირმა შიოლაშვილი	70
17	მარინე ცხვედიაშვილი	75
18	გულნაზი წერეთელი	82
19	გიორგი წიკლაური	85
20	თამაზ წიკლაური	90
21	შმაგი ჭინჭარაული	93
22	ეკა ჯავახიშვილი	97
23	ნონა ჯიბღაშვილი	101

My hobby is poetry
(In Georgian)

Periodical Literary Miscellany No 11